

# ახალი ეკონომისტი

პრაქტიკულ-სამეცნიერო ჟურნალი

იანვარი 2007

1591  
2007

- » ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, მენეჯმენტისა და მეცნიერთა პოზიციები)
- » გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი
- » საკანონმდებლო სიხსლენი (სამენეჯერო სამართალი), კომენტარები
- » მენეჯმენტის კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

# ეკონომისტი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი  
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

№1(2)  
იანვარი, 2007 წელი

სარედაქციო კოლეგია  
მთავარი რედაქტორი:  
ლოი კარჩავა

EDITORIAL BOARD  
EDITOR-IN-CHIEF:  
LOID KARCHAVA

საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
გება:

ლეო ჩიკავა,  
ავთანდილ სილაგაძე  
მე. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:  
რევაზ გველესიანი,  
ელენე ხარაბაძე,  
თემურ შენგელია,  
ელგუჯა მემვაბიშვილი,  
ნოდარ ხაღური,  
ნუგზარ თოდუა,  
მიხეილ ნიკვილაძე,  
მირიან ტუხაშვილი,  
ეთერ ხარაიშვილი,  
ლარისა ყორგანაშვილი,  
იაკობ მესხია,  
გიორგი წებეთელი,  
რევაზ კაკულია,  
მერაბ კაკულია,  
შოთა ვეშაპიძე,  
გივი გამსახურდია,

გიორგი ისაკაძე (საქართველოს  
ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი  
დირექტორი),

გოჩა თუთბერიძე (ბიზნესის მართვის  
ბიუროს დირექტორი, მე. მეცნ. კანდიდატი,  
პროფესორი),

დავით ნარმანიანი (საქართველოს  
ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის  
თავმჯდომარე, მე. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი),  
თამაზ ვაშაპიძე (მცირე მეწარმეთა  
კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა  
კავშირის აღმასრულებელი დირექტორი),  
ზვიად როგავა (იურისტი)

მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ. №15

ტელ: 93-52-83

მობ: 8(55)277-554

ელ-ფოსტა: karchava-1@myoffice.ge

aekonomisti@yahoo.com

Members of Academy of science of Georgia:


LEO CHIKAVA,  
AVTANDIL SILAGADZE

Dr. Prof. of Economics:

REVAZ GVELESIANI,  
ELENE KHARABADZE,  
TEMUR SHENGELIA,  
ELGUJA MEKVABISHVILI,  
NODAR KHADURI,  
NUGZAR TODUA,  
MICHAEL CHIKVILADZE,  
MIRIAN TUKHASHVILI,  
ETER KHARASHVILI,  
LARISA KORGANASHVILI,  
JAKOB MESKHIA,  
GIORGI TSERETELI,  
REVAZ KAKULIA,  
MERAB KAKULIA,  
SHOTA VESHAPIDZE,  
GIVI GAMSAKHURDIA,  
GIORGI ISAKADZE (Executive Director  
of Federation of Georgian Businessmen),  
GOCHA TUTBERIDZE (Director of Business  
Management Bureau)  
DAVID NARMANIA (Chairman of Board of  
Association of Young Economists of Georgia)  
TAMAZ VESHAPIDZE (Manadger of Club of  
Smol Entrepreneurs, Executive Director of Union  
of Georgian Entrepreneurs)  
ZVIAD ROGAVA (Lawyer)

46

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს.  
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.  
რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყ-  
ნებული მასალების ვადაბეჭდება ან სხვა რამე ხაზით  
გამოყენება დაუშვებელია.



# შინაარსი

## რედაქტორის გვამრღი

ლოიდ ქარჩავა - ჟურნალის სახელწოდების მიზანშეწონილობის შესახებ..... 5

ეკო-დაიჯესტი..... 6

## მეცნიერება

დავით ნარმანია, ელგუჯა ხოპრიშვილი - საქართველოს საგადასახოლო სისტემა . . . . . 8

ლეო ჩიქავა - ახალი ეკონომიკა: არსი და ძირითადი მახასიეთებლები. . . . . 16

ავთანდილ ჩუთლაშვილი, სოსო სონღულაშვილი - საბაუო სისტემის ზოგიერთი საკითხის შესახებ..... 20

## ბუღალტრული აღრიცხვა

ელენე ხარაბიძე - არამატერიალური აქტივების აღრიცხვა. . . . . 27

## კითხვა-პასუხი

თეიმურაზ კოკალეიშვილი..... 30

სპანონომდგრო სიხლენი..... 32

რეცენზია..... 60

რა ხდება მსოფლიოში..... 61

## შურნალის სახელწოდების მიხანშეწონილობის შესახებ



ეკონომისტთა სამეცნიერო წრეში გარკვეული დისკუსია გამოიწვია შურნალის სახელწოდებამ – „ახალი ეკონომისტი“. სიმაღლე გითხრათ, მე კატეგორიული წინააღმდეგი არ ვიყავი სხვა სახელი მოგვეძებნა, მაგრამ არის არგუმენტები, რის გამოც არ მოსწონს ზოგიერთ კოლეგას აღნიშნული სახელი და არის არგუმენტები, რის გამოც დასაშვებია დარჩეს აღნიშნული სახელი.

ზოგიერთ კოლეგას არგუმენტად მოჰყავს, რომ ეკონომისტი ადამიანია და ახალი ადამიანი, რას ნიშნავსო, თუმცა ზოგიერთი კოლეგა პირიქით ფიქრობს. „სწორედ ახალი ეკონომისტი, ახლებურად მოაზროვნე ეკონომისტი სჭირდება დღეს ქვეყანას, რომელიც ქმნის ეკონომიკას“-ო.

პირადად მე ძალიან მომწონს სიტყვა „ეკონომისტი“, რომელიც საკმაოდ ფართო ცნებაა. მაგალითად, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ეკონომისტი ისეთივე ფართო, ზოგადი მცნება, როგორც „ექიმი“ „ექიმში“ შეიძლება ვიგულისხმოთ პედიატრი, ქირურგი, თერაპევტი, კარდიოლოგი და ა. შ. ასევე, „ეკონომისტში“ შეიძლება ვიგულისხმოთ ბანკირი, ფინანსისტი, ბუღალტერი, სტატისტიკოსი და სხვა მიმართულების ეკონომისტი.

ამასთან „ახალი ეკონომისტი“ სულაც არ გულისხმობს იმას, რომ მაინცდამაინც ასაკით ახალგაზრდა ეკონომისტი წარმოგვიდგენია მთავარ მოქმედ გმრად. არა ბატონო, ჩვენ ახალი აზროვნება გვინტერესებს, რომელიც არ წაშლის ძველს, არამედ გარდაქმნის მას და ახალ რელსებზე უმტკივნეულოდ გადაიყვანს. თვითონ რედკოლეგიის შემადგენლობაც ამის დასტურია, რომ ჩვენ კავშირს არ ვწყვეტთ უფროს, საშუალო ასაკის და ახალგაზრდა თაობასთან.

შურნალი „ეკონომისტი“ გამოდიოდა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს. რატომღაც სახელი შეუცვალეს. მე პირადად ძალიან დიდ პატივს ვცემდი თვით სახელსაც კი, თუნდაც ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო.

შურნალი „ეკონომისტი“ დღესაც გამოდის ინგლისურ ენაზე. შეგიძლიათ იხილოთ [web-gver i: www.economisti.com](http://web-gver.i:www.economisti.com).

ამასთან, ჩვენ ვაკეშირებთ ერთმანეთთან მეცნიერებსა და მეწარმეებს, რომლებმაც ერთად უნდა მიაწვდინონ ხმა ხელისუფლებას, თუ რა პრობლემებია რეალურად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ლოიდ ქარჩავა

საქართველოს  
კონომისტთა  
ეკონომისტი  
ბიბლიოთეკა

2566

## 2007 წლის ბრანტაჟი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 2007 წელსაც ელის გრანტებს 240 351 000 ლარი ოდენობით. შედარებისთვის: 2005 წლის ბიუჯეტში მათი ოდენობა 104 491 100, 2006 წელს კი - 278 521 000 ლარის შეადგენდა.

2007 წელს მიმდინარე დანიშნულებიდან შემომავალმა გრანტებმა 73 827 000 ლარი უნდა შეადგინოს. აქედან:

სხვა ქვეყნების მთავრობებისგან მიღებული მიმდინარე დანიშნულების გრანტების ოდენობა 11 402 000 ლარი უნდა იყოს;

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული მიმდინარე დანიშნულების გრან-

ტების - 55 425 000 ლარი;

სხვა საგარეო არასახელმწიფოებრივი წყაროებიდან მიღებული მიმდინარე დანიშნულების გრანტების კი - 7 მილიონი ლარი.

2007 წელს კაპიტალური დანიშნულების გრანტებიდან საქართველოს ბიუჯეტი 166 524 000 ლარს ელის. აქედან:

სხვა ქვეყნის მთავრობებისგან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტების ოდენობა 158 472 000 ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კაპიტალური დანიშნულების გრანტებისა კი - 8 052 000 ლარი.

## ინვესტიცია

2007 წლის დადგომისთანავე ეკონომიკური განვითარების მინისტრმა შპს "Georgian Manganese Holding Limited"-ის ხელმძღვანელს საკუთრების მოწმობა გადასცა. რის მიხედვითაც ბრიტანული კომპანია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, „ჭიათურმანგანუმისა“ და „ვარციხე-2005-ის“ მფლობელი გახდა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გიორგი არველაძემ და ბრიტანული კომპანიის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ზილბერმანმა. „ჯორჯიან მანგანუმი“ კომპანია „სტენკორის“ შვილობილი კომპანიაა და ამ გარიგების წყალობით სახელმწიფომ 112 მილიონი დოლარი მიიღო. ეკრძოდ:

„ჭიათურმანგანუმის“ აქტივები და ლიცენზია - 20 მილიონი აშშ დოლარი;

„ვარციხე-2005“ - 57 მილიონი დოლარი;

ფეროშენადნობთა ქარხანა - საგადასახადო დავალიანების სახით უკვე გადახდილია 63 მილიონი ლარი.

თუმცა მხოლოდ ზემონახსენები 112 მილიონი დოლარი არ არის საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალი: საქართველოს ბიუჯეტს 20 მილიონი დოლარი რუსული კომპანია „ეერაზმოლდინგისგანაც“ დარჩა, რომელიც პირველი პრივატიზაციის მცდელობისას ამ რუსულმა კომპანიამ „ბეს“ სახით გადაიხადა. ასე რომ, საერთო ჯამში, ამ ობიექტების გაყიდვამ ბიუჯეტს 132 მილიონი დოლარი მოუტანა.

რაც შეეხება „ჯორჯიან მანგანუმის“, როგორც ინვესტორის, ვადადებულებებს: მანორი წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია, პირველივე წელს მოიპოვოს არანაკლებ 300 000 ტონა მადანი, მეორე წელს კი ეს მაჩვენებელი 100 000 ტონით გაზარდოს. საიდანაც ნახევარი, ანუ 200 000 ტონა საქართველოში უნდა გადამუშავდეს. მეორე მხრივ, მადნის წლიური მოპოვების გაზრდა 700 000 ტონამდე იგეგმება, ხოლო „ფეროშენადნობის“ წლიური წარმოებისა კი - 400 000 ტონამდე.

## საინვესტიციო კრედიტი

2007 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 91 818 000 ლარის ოდენობის კრედიტებს ელის. წინა ორი წლისგან განსხვავებით, წელს კრედიტები აღარ დაიხარჯება სასამართლო რეფორმის, სტრუქტურული რეფორმების მხარდამკერ, გზების რეაბილიტაციისა და კერძო საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტებზე, ლაჯანურისა და ხრამქის რეაბილიტაციაზე, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტზე.

სამაგიეროდ, სოლიდური ოდენობის კრედიტები ჩაიდება სოციალური ინვესტიციების მეორე პროექტში (2 550 300 ლარი); ფოთისა და ქუთაისის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციაში (შესაბამისად, 2 538 500 და 1 984 600 ლარი); ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტში (4 886 700 ლარი); შიდა სახ-

ელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტში (5 571 500 ლარი); აღმოსავლეთ-დასავლეთის პირველი სატრანზიტო მაგისტრალის ასაშენებლად - 35 000 000 ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მეორე სატრანზიტო მაგისტრალისთვის - 15 800 000; საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტისთვის - 1 514 600 ლარი; პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტში - 4 961 500 ლარი; საბითუმო ბაზრის მხარდამკერ პროექტში - 2 324 200 ლარი; რეგიონული ელექტროსისტემების რეაბილიტაციაში (პროექტი ალავერდი) - 2 360 200 ლარი; ელექტრომომარაგების სექტორული პროგრამა - 1 552 500 ლარი; სოფლის განვითარების პროექტი - 2 862 800 ლარი; სატყეო სექტორის განვითარების პროექტი - 3 125 500 ლარი.

## ბორჯომ-ხარაბაულის ტყის-პარკის რეაბილიტაციის შედეგება?

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთელი დონორები და მგობრები ჩვენს ქვეყანას, უფრო ზუსტად, მის ბიუჯეტს საქმოდ ანებიერებენ. თუმცა, არის სფეროები, რომლებიც 2007 წელს, შარშანდელის მსგავსად, უცხოური გრანტებით ევლარ დაფინანსდებიან. კერძოდ: სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობი კრედიტის პირველი დონისძიება; სოციალური დაცვის რეფორმის პროექტის მოსამზადებელი გრანტი; კოლხეთის დაბლობზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესება;

თუმცა ყველაზე მძიმე დანაკლისი მაინც ისაა, რომ 2007 წელს, წინა ორი წლისგან განსხვავებით, გერმანია აღარ დააფინ-

ანსებს ბორჯომი-ხარაბაულის პარკის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოებს (ამ მიზნით, 2005 წელს 4 180 000 ლარის ოდენობის გრანტები გამოიყო, 2006 წელს კი - 2 173 000 ლარი).

ასევე, უცხოური, კერძოდ, ევროკავშირის ფინანსების მზრუნველობის გარეშე დარჩება რუსთავის მეექვსე კოლონია (თუმცა, მაგალითად, 2005 წელს მისი რეაბილიტაციისთვის ევროკავშირმა 3 738 000 ლარი დახარჯა); ამის გარდა, 2007 წელს პროექტებს აღარ განახორციელებს „NDP“, „UNICEF“, „GTZ“ და „BP“, რომელიც ბორჯომის საზოგადოებრივი გართობისა და დასვენების პარკის აღდგენისა და განვითარების პროექტს აფინანსებდა.

მომზადდა ანა ბარამიძემ

საქართველოს საგადასახადო სისტემა



დავით ნარმანიძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პროფესორი



ელგუჯა ნოპკრიძე  
გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტი

(დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

გადასახადის გადამხდლები და საგადასახადო აპენტი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების მიხედვით, გადასახადის გადამხდლები და საგადასახადო აგენტები არაიან პირები, რომელთა უმთავრესი ვალდებულებაა საგადასახადო ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათზე ვრცელდება საგადასახადო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

აღნიშნული და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდლებს და საგადასახადო აგენტებს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავთ საგადასახადო სისტემაში. გადასახადის გადამხდელის ცნება ვაცოლებით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე საგადასახადო აგენტისა და იგი პრაქტიკულად უტოლდება გადასახადების შემოღების პერიოდს. ამჟამად გადასახადის გადამხდელის დეფინიცია უფრო გაფართოვდა და ვალდებულებებიც შესაბამისად უფრო მრავალისმომცველია. რაც შეეხება საგადასახადო აგენტს, ადრეულ წლებში საგადასახადო აგენტად ითვლებოდნენ საგადასახადო ინსპექციების თანამდებობის პირები, რომლებიც აზოციულებდნენ საგადასახადო და სადაზღვევო შენატანების მიღებას სოფლის მოსახლეობიდან. თვადპირველად საგადასახადო აგენტი აგრეთვე აწარმოებდა გადასახადის გადამხდელთა და

დაბეგრის ობიექტების აღრიცხვას, ანგარიშობდა შენატანებს, თვალყურს ადევნებდა მათ ჩარიცხვას, ურიგებდა მოქალაქეებს საგადასახადო შეტყობინებებს<sup>1</sup>. ამჟამად კი საგადასახადო აგენტის ცნებამ უფრო ფართო ხასიათი და დატვირთვა მიიღო.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით<sup>2</sup>, გადასახადის გადამხდელი არის პირი (ფიზიკური ან იურიდიული პირი, მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), რომელსაც გააჩნია გადასახადის გადახდის ვალდებულება. გადასახადის გადახდის ვალდებულება წითელი ზოლივით გასდევს სწორედ მთელ საგადასახადო კანონმდებლობას და სხვა საკითხები მნიშვნელოვანწილად მასზეა დამოკიდებული. თუმცა, გადასახადის გადამხდელის დეფინიცია მხოლოდ გადასახადის გადახდის ვალდებულებით არ შემოიფარგლება. გადასახადის გადამხდელის უმთავრესი ატრიბუტი არის საგადასახადო ინსპექციამ რეგისტრაციის შედეგად მინიჭებული 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი (მუხლი 101). გადასახადის გადამხდელს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების მიხედვით (მაგ. მუხლი 41) სხვა ისეთი ვალდებულებებიც გააჩნია, როგორცაა გადასახადების გამოანგარიშება, საგადასახადო

1 როგავა ზ. 'გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები', თბ. 2002., გვ. 279.  
2 იხ. კოდექსის 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

დეკლარაციების ჩაბარება მომსახურე საგადასახადო ინსპექციაში და ა.შ. ყველა ეს ვალდებულება წარმოადგენს დამხმარე ვალდებულებას გადამხდელის უმთავრესი ვალდებულების შესასრულებლად – გადასახადის გადასახდელად.

საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელიც საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლების შესაბამისად ასრულებს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებას. ე.ი. საგადასახადო აგენტისთვის განსაზღვრულია ის პირობები და წესები, რითაც მან უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. ეს წესები იმდენად გაფანტულია საგადასახადო კოდექსში (მაგ. მუხლები 44, 45, 51, 52, 96, 97 და ა.შ.), რომ ერთიანი ლეგნიციის შემუშავება საგადასახადო აგენტისთვის საკმაოდ დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. საგადასახადო აგენტის ყველაზე ტიპური და გაერცელებული მაგალითია დამქირავებელი, რომელიც უკავებს სამშომსოველო გადასახადს დაქირაებულ პირებს და რიცხავს ბიუჯეტში; ან კიდევ საკონსულტაციო ფირმა, რომელიც საბუღალტრო მომსახურებას უწევს გადასახადის გადამხდელს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და მის ნაცვლად ახორციელებს ბიუჯეტთან ანგარიშწორებას. საგადასახადო აგენტს გადასახადის გადამხდელისგან ერთი უმთავრესი ფაქტორი განასხვავებს: საგადასახადო აგენტი გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს, მაშინ როცა გადასახადის გადამხდელი აგენტის გარეშე – თვითონ ასრულებს მას. საგადასახადო აგენტი იმავდროულად გადასახადის გადამხდელიცაა (როგორც საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული პირი), მაშინ როცა გადასახადის გადამხდელი იმავდროულად ყოველთვის არ არის საგადასახადო აგენტი (თუ ის არ არსებობს აგენტის ფუნქციას, ჩვეულებრივ გადამხდელია).

გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრისით გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, თუმცა საგადასახადო კოდექსის

42-ე მუხლით განსაზღვრულია საგადასახადო აგენტთა ისეთი დამატებითი ვალდებულებები (მაგ. აღრიცხოს ყოველი გაადასახადის გადამხდელისთვის დარიცხული შემოსავლები), რომლებიც გადასახადის გადამხდელს არ გააჩნია. შესაბამისად, მთელ რიგ შემთხვევებში საგადასახადო აგენტთა ვალდებულებები გაიცემა მეთვითად, ვიდრე გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები.

**საგადასახადო ანგარიშგება.**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების შესაბამისად<sup>3</sup>, საგადასახადო ანგარიშგება მოიცავს გადასახადით დასაბეგრი ობიექტის აღრიცხვას, საგადასახადო დეკლარაციების მომზადებას (შეგებას) და მათ წარდგენას (გაგზავნას) საგადასახადო ორგანოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგადასახადო ანგარიშგება საგადასახადო დეკლარაციის შეესების გზით საგადასახადო ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდებაა. საგადასახადო ანგარიშგების საბოლოო მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ მომსახურე საგადასახადო ორგანოსთვის მისი საქმიანობის შესახებ პერიოდული და ტაქტიკური ინფორმაციის მიწოდება და გადასახდელი გადასახადების გამოანგარიშება, რომელსაც შემდგომ შესაბამისი გადასახადების ბიუჯეტში გადახდა უნდა მოჰყვეს.

გადასახადის გადამხდელს, საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულს პირს გააჩნია თავისი საქმიანობის შესახებ სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა იმ კონტრაქტზე, რომლებიც წარმოშობს აღნიშნული პირის საგადასახადო და გადასახადის დაკავების, ასევე საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას.

**სააღრიცხვო დოკუმენტაციას განეკუთვნება პირველადი დოკუმენტები (მათ**

3 უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "საგადასახადო ანგარიშგება" არ არის განმარტებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის ტერმინთა განმარტებებში და არც სხვა ნაწილებში, ამიტომ მოცემული განმარტება ავტორისთვის განმარტება და გამოძიანობის საგადასახადო კოდექსში საგადასახადო ანგარიშგებაზე არსებული ნორმებიდან.





შორის პირველადი საგადასახლო დოკუმენტები), ბულალტრული ადრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და აღინიშნება საგადასახლო ვალდებულებები. ე.ი. გადასახადის გადამხდელის ნებისმიერი ქმედება, რომელიც საქართველოს საგადასახლო კოდექსის შესაბამისად წარმოშობს დაბეგვრის ობიექტს ან დაკავშირებულია მასთან, საგადასახლო ორგანოში გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებულ პირისთვის შრომის ანაზღაურების გაცემა და გარიგების შედეგად საგადასახლო ვალდებულება, უნდა იქნას პირველად საადრიცხო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული. უმთავრეს საადრიცხო დოკუმენტაციას საგადასახლო დეკლარაცია წარმოადგენს.

საგადასახლო დეკლარაცია წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის, საგადასახლო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის წერილობით ანგარიშგებას მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების, შემოსავლის წყაროების, გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების, საგადასახლო შეღავათების, გამოანგარიშებული გადასახადის თანხისა ან/და გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახლო დეკლარაცია უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

◆ **უნდა იყოს აუცილებლად წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული.**<sup>4</sup> (შეესბუთი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმით);

◆ **უნდა შეიცავდეს საანგარიშო პერიოდში მიღებულ შემოსავლებს, შემოსავლის წყაროს მითითებით და ამავე პერიოდში გაწეულ ხარჯებს** (აღნიშნულ

მაჩვენებლებს არ შეიცავს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ზოგიერთი დეკლარაციის ფორმა, მაგ. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული სამშომსახლო გადასახადის, ასევე სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმები);

◆ **უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების შესახებ** (მაგ. მიღებული მოგება, დარიცხული ხელფასი, ბრუნვა და ა.შ.);

◆ **უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საგადასახლო შეღავათების შესახებ**, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საგადასახლო შეღავათებით მოსარგებლე პირებზე/საქმიანობაზე ინფორმაცია მოცემული საგადასახლო კოდექსის ცალკეულ მუხლებში (მაგ. 168-ე, 172-ე, 230-ე, 265-ე, 270-ე, 276-ე მუხლები) გადასახადების შესაბამისად);

◆ **უნდა შეიცავდეს გადასახადის სახით გამოანგარიშებულ თანხას**. თუ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადასახდით დასაბეგრი ოპერაციას არ ჰქონია ადგილი, ზოგიერთი დეკლარაციების ფორმებში (მაგ. დღგ-ს და აქციზის ყოველთვიურ დეკლარაციაში) მიეთითება 'ს' ნიშანი და გამოანგარიშებული თანხის გრაფა არ ივსება. ზოგიერთი დეკლარაციის ფორმაში გადასახადი გაიანგარიშება საქმიანობების სახეობათა მიხედვით ცალ-ცალკე და ბოლოს იწერება ნაერთი გადასახდელი თანხა (მაგ. სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია);

◆ **უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადასახადის გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების შესახებ**. ამ მონაცემებში იგულისხმება ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული გამოანგარიშებისა და გადახდის წესებით კონკრეტული გადასახადის გამოანგარიშებისას (მაგ. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული სამშომსახლო გადასახადის გამოანგარიშებისას

4 თუცა, 95-ე მუხლის მე-3 პუნქტით შესაბამისი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დედგენილ შემთხვევებში საგადასახლო დეკლარაცია წარდგენილ იქნეს ინფორმაციის მაგნიტური მატარებლით (დისკეტით, კომპაქტ-დისკით, ფლეშ-დისკით) ან ელექტრონული ფოსტით (ე-მაილით).

ასეთი მაჩვენებლებია: დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ფულადი ფორმით ხელფასის (სარგებლის) სახით გაცემული ანაზღაურება, პენსია, სტიპენდია, დახმარება; დაქირავებით მომუშავეზე გაცემული სარგებელი არაფულადი ფორმით; გაცემული შრომის ანაზღაურება, რომელზეც ვრცელდება საგადასახადო შეღავათი და სხვა).

გადასახადის გადამხდელი, საგადასახადო ავანტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდებულია მომსახურე საგადასახადო ინსპექციაში წარადგინოს საგადასახადო დეკლარაცია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით, დეკლარირების პერიოდი გახდა უნიფიცირებული და ყოველთვიური დეკლარაციის ფორმები ბარდება მომსახურე საგადასახადო ინსპექციას საანგარიშო თვის დამთავრებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ამასთან, არსებობს ყველკარტალური და წლიური დეკლარაციის ფორმებიც, რომლებიც შესაბამის ვადებში ბარდება საგადასახადო ორგანოს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით და მის შესაბამისად დამტკიცებული ინსტრუქციებით, ჩაბარების ვადების მიხედვით მოქმედებს დეკლარაციის 4 ძირითადი სახე:

**ერთჯერადი დეკლარაცია:** ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით, მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული შემოსავლების დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება სხვადასხვა ვადებში ერთჯერადად შემოსავლის სახეობის შესაბამისად, კერძოდ:

\* ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას (გარდა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აქტივების ან/და ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა), ასევე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის და მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღების შემთხვევაში (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ მათთვის ქონების ჩუქებისა და საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების

მიერ 150 ათას ლარზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ან მემკვიდრეობით მიღებისა) – აქტივის გადაცემიდან/საჩუქრის მიღებიდან არაუგვიანეს 3 დღისა;

\* ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას (გარდა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისა), ასევე ქონების საჩუქრად მიღებისას (გარდა I და II რიგის მემკვიდრეების მიერ მათთვის ქონების ჩუქებისა და საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 ათას ლარზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ან მემკვიდრეობით მიღებისა) – ასეთი აქტივის/ქონების საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე (გადაფორმებამდე);

\* საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 ათას ლარზე მეტი ღირებულების ქონების ჩუქების ან მემკვიდრეობით მიღებისას – ქონების/შემოსავლის მიღებიდან არაუგვიანეს 2 კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველი 5 თვის შემდგომი თვის 15 რიცხვამდე;

\* იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სალიკვიდაციო კომისიის მიერ ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღებისას – გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში.

**ყოველთვიური დეკლარაცია:**

- ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშება – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
- სოციალური გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
- დღ-ს ყოველთვიური დეკლარაცია – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

5 ინსტრუქციით, მისი სახელწოდება გაანგარიშება, მაგრამ რეალურად და პრაქტიკაში განიხილავს დეკლარაციის სახე.

• აქციზის ყოველთვიური დეკლარაცია – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

• სათამაშო ბიზნესის ყოველთვიური დეკლარაცია – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

• სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მოძრაობის აღრიცხვის ყოველთვიური დეკლარაცია – საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

### ყოველკვარტალური დეკლარაცია:

• საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ყოველკვარტალური დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო კვარტლის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

### წლიური დეკლარაცია:

• საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

• მოგების გადასახადის წლიური დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

• სოციალური გადასახადის წლიური დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

• ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე (გარდა მიწისა) ქონების გადასახადის გაანგარიშება<sup>6</sup> – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 1 აპრილამდე;

• ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა და მიწისა), ქონების გადასახადის წლიური

დეკლარაცია – საგადასახადო ორგანოს ბარდება საანგარიშო წლის 1 ივნისამდე.

### საგადასახადო ვალდებულება და მისი შესრულების წესი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულება არის დადგენილ ვადებში გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ გადასახადის გადახდა. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელიც განმარტებულია, როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია გადასახადის გადახდის ვალდებულება. საგადასახადო ვალდებულების შესრულებლობაზე საგადასახადო კოდექსი არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს<sup>7</sup> და ვალდებულების არასათანადოდ შემსრულებელ პირზე ვრცელდება საგადასახადო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების დროულ და ზუსტ შესრულებაზე დამოკიდებული მისი გამართული საქმიანობა.

საგადასახადო ვალდებულება არის გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის შესასრულებლად სავალდებულო ქმედება, რომ მან გადასახადის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაწესებული და შემოღებული გადასახადი, როგორც ცნობილია, გადასახადები საქართველოში დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები (მოგების, საშემოსავლო, სოციალური, დღე და აქციზი) მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ისინი საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლიდან არის შემოღებული. ზოლო ადგილობრივი გადასახადების (ქონების და სათამაშო ბიზნესის) შემოღება ხდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული

<sup>6</sup> ინსტრუქციით, მისი სახელწოდებაა გაანგარიშება, მაგრამ რეალურად და პრაქტიკაში გააჩნია დეკლარაციის სახე.

<sup>7</sup> შემოსავლი გადასახადი იბეგრება მაშინაც კი, როცა ის საღვათა.

ზღვრული განაკვეთების<sup>8</sup> ფარგლებში კონკრეტული თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყვეტილებაში მითითებული თარიღიდან. როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ასევე ადგილობრივი გადასახადების გადახდა წარმოადგენს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებას.


საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა დროის გარკვეული პერიოდიდან. საგადასახადო კოდექსით, *საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის პერიოდი განსაზღვრულია თითოეული გადასახადისათვის*, თუმცა ყოველთვიურად გადასახდელი გადასახდებისთვის (დღგ, აქციზი, სოციალური გადასახადი) ეს პერიოდი წარმოადგენს საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვს. ასევე, საგადასახადო ვალდებულების შეცვლის, შეწყვეტის და შესრულების წესები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსით და მის საფუძველზე მიღებული კანონმდებლობარე აქტებით (ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით და საქართველოს მთავრობის დადგენილებებით). *გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება იმ მომენტიდან, როდესაც დგება გარკვეული გადასახადის გადახდის ვალდებულება*. ეს პერიოდი შეიძლება მოიცავდეს დროის გარკვეულ შუალედს ან გადამხდელის ქმედებას, რომლის დროსაც უნდა იქნას საგადასახადო ვალდებულება შესრულებული. მაგ. ადგილობრივ მიწოდებაზე დღგ-სთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების შესრულების პერიოდი განსაზღვრულია საანგარიშო თვის მომდევნო თვის 1-დან 15 რიცხვამდე. იმპორტის დროს აქციზის და დღგ-ს გადახდის პერიოდი კი ემთხვევა საქონლის საბაჟო გაფორმების პერიოდს, როდესაც გადამხდელმა საიმპორტო საქონლის საბაჟო გაფორმების დროს უნდა გადაიხადოს აქციზი და დღგ.

გამომდინარე იქიდან, რომ საგადასახადო ვალდებულება არის გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის შესასრულებლად სავალდებულო ქმედება, რომ მან გადაიხადოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაწესებული და შემოღებული გადასახადი, *საგადასახადო ვალდებულების შესრულებად ითვლება დადგენილ ვალებში გადასახადის თანხის გადახდა*. ამ ჩანაწერით თუ ვიმსჯელებთ, საგადასახადო ვალდებულების შესრულებად არ ითვლება გადასახადის თანხის გადახდა ვადის დარღვევით, მიუხედავად იმისა, რომ ვადის დარღვევის გამო (ანუ საგადასახადო ვალდებულების დავიანებიტით შესრულების გამო) გადასახადის გადამხდელს ეკისრება პასუხისმგებლობა. ასევე, ამ მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულებად არ ითვლება სანქციებისა და სურავების გადახდა, მაშინ როცა სხვა მუხლების შესაბამისად – ითვლება<sup>9</sup>. გადასახდის გადახდის ვადები თითოეული სახეობისა და ქვესახეობისთვის დადგენილია ცალ-ცალკე. იმ გადასახადებისთვის, რომლებიც ყოველთვიურ დეკლარირებას საჭიროებენ (მაგ. დღგ, აქციზი), მათთვის გადასახადის გადახდის ვადა განსაზღვრულია საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე<sup>10</sup>. იმ გადასახადებისთვის, რომლებიც გარკვეული კატეგორიის ქონებაზე დაწესებული (მაგ. მსუბუქ ავტომობილებზე ან მიწაზე) ან წარმოადგენს წლიური შედეგების მიხედვით გადასახდელ გადასახადს (მაგ. მოგების და სემიოსავლო გადასახადები), მათთვის სპეციალური ვადებია დაწესებული. სიცხადისთვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადასახადის მიმღები საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი ბიუჯეტებია. 'საგადასახადო, არასაგადასახადო

9 აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ეს ნორმა საგადასახადო კოდექსის სარეზიდენტო უნდა მივიჩნიოთ 10 თვისა, უნდა აღიზნოს, რომ საგადასახადო კოდექსის ცალკეულ მუხლებში არსებული ჩანაწერით, ეს ვადა ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს ყველა ასეთი გადასახადისთვის. მაგ. დღგ იხდენება არაუვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, აქციზი – მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის.

8 ზღვა ან ქვედა ზღვარი, ან მხოლოდ ზღვა ზღვარი.



და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია გადასახადების სახეობების შესაბამისად თანხის მიძღვნილი სხვადასხვა სახის ბიუჯეტები. **გადასახადის გადამხდელის მიერ საბანკო სისტემის საშუალებით გადახდილი გადასახადი ან/და სანქციის თანხა გადახდილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაირიცხა შესაბამის ბიუჯეტში.** აღნიშნული ფორმულირება სულ მცირე ორი მთავარი გარემოების ხაზგასმის საშუალებას იძლევა: (1) გადასახადის ან/და სანქციის გადახდა შესაძლებელია არა მხოლოდ საბანკო სისტემის საშუალებით, არამედ ნაღდი ანგარიშსწორებით საგადასახადო ორგანოს საღაროში; (2) გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადი ან/და სანქცია დროულად გადაუხდელოდ ითვლება იმ შემთხვევაში, თუ საბანკო სისტემის შეფერხების გამო თანხა გვიან ჩაირიცხება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელს დაეკისრება სანქციის ვადახდა ბიუჯეტში თანხის არათავისდროული ჩარიცხვის გამო.

საგადასახადო ვალდებულების შესრულება კიდევ ერთხელ აღიარებულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის უმთავრეს მოვალეობად. ეს ვალდებულება შესასრულებლად სავალდებულოა და იგი სრულდება ნებისმიერი არასაგადასახადო ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად. მაგ. გადასახადის გადამხდელის მიმწოდებელთან დაგვიანების არსებობის მიუხედავად, მან საგადასახადო ვალდებულება დაუკონტროლებლად შეასრულოს. ასეთი და სხვა მსგავსი ვალდებულებები, ასევე **გადასახადის გადამხდელს საქართველოს თანხის პრაქტიკული არარსებობა არ ათავისუფლებს გადასახადის გადამხდელს გადასახადის ვალდების ვალდებულებისგან**

**გადასახადის გამაჩვიების წესი თითოეული გადასახადისათვის განსაზღვრულია ცალკეულ საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლებით და მათ შესაბამისად მიღებული ზოგიერთი კანონქვემდებარე აქტით:**

▪ **საშემოსავლო გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 166-ე, 218-219-ე მუხლები;

▪ **მოგების გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 170-ე, 173-197-ე და 219-ე მუხლები;

▪ **სოციალური გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 267-ე და 269-ე მუხლები;

▪ **დამატებული ღირებულების გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 225-229-ე მუხლები;

▪ **აქციზი** – საგადასახადო კოდექსის 254-257-ე მუხლები; **ქონების გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 274-ე მუხლი, ასევე “ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 22 აპრილის №279 ბრძანება;

▪ **სათამაშო ბიზნესის გადასახადი** – საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლი.

გადასახადის გადამხდელის უფლებაა ისარგებლოს საგადასახადო შეღავათებით ან გათავისუფლდეს გადასახადებისაგან. ამასთან, საგადასახადო შეღავათისა და გადასახადისაგან განთავისუფლებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: **გადასახადისაგან განთავისუფლების შემთხვევაში გადამხდელს საერთოდ არ ეკისრება რაიმე თანხის გადახდა, მაშინ როცა საგადასახადო შეღავათის დროს – ნაწილობრივ არის განთავისუფლებული გადასახადისაგან (იხილეთ ნაკლები ოდენობით). გადასახადისაგან განთავისუფლება თავისი არსით არის საგადასახადო შეღავათი.** საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცალკეული მუხლებით დადგენილია თითოეული გადასახადისაგან განთავისუფლების პირობები (მუხლები 168, 172, 230, 265, 270 და 276). ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **საგადასახადო შეღავათი არის გადასახადი გადასახადისაგან ნაწილობრივი განთავისუფლება ანუ გადასახადის ნაკლები ოდენობით გადახდა.** მაგ. ნაწილისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგების დაბეგვრა 10%-იანი განაკვეთით, მაშინ



## გეგმვა

როცა სხვა სახის მოგებაზე მოქმედებს 20%-იანი განაკვეთი, განიხილება როგორც საგადასახადო შეღავათი. **საგადასახადო კოდექსით დაუშვებელია კონკრეტულ გადასახადის გადამხდელებზე (საწარმოებზე, ორგანიზაციებზე) ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება ან კიდევ ცალკეული გადამხდელების განთავისუფლება გადასახადების გადახდისაგან.** მაგ. შპს 'საქართველოს რკინიგზას' მიუხედავად იმისა, რომ იგი 100% სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არის შექმნილი, არ შეიძლება მიეცეს რაიმე სახის საგადასახადო შეღავათი ან განთავისუფლდეს რაიმე გადასახადის გადახდისაგან. ამგვარი პრინციპის უპირობო დაცვა ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნებისა და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების ხელშეწყობისა.

გადასახადის გადახდის ვადები უმთავრესი გარემოებაა საგადასახადო ვალდებულების შესასრულებლად, ვინაიდან ვადების დარღვევით გადასახდის გადახდა იწვევს ყოველ გადავადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით საურავის დარიცხვას. **გადასახადის გადახდის ვადები განსაზღვრული თითოეული გადასახადისათვის ცალ-ცალკე, ხოლო რიგ შემთხვევებში გადასახადის ქვესხეობებზეც კი ცალ-ცალკე.** მაგ. ქონების გადასახადის შემთხვევაში ცალ-ცალკეა განსაზღვრული გადახდის ვადები სასოფლო-სამეურნეო და არასოფლო-სამეურნეო მიწებზე, ავტომანქანებზე, საწარმოთა და ფიზიკურ პირთა უძრავ ქონებაზე და ა.შ. **არსებობს ერთი გამონაკლისი, როცა გადასახადის გადახდის ვადები დგება საგადასახადო პერიოდის დასრულებამდე და მას მიმდინარე გადასახდელზე უწოდებენ.** მიმდინარე გადასახდელზე არსებობს მხოლოდ მოგების და საშემოსავლო გადასახადებზე.

გადასახადის გადახდის ვადა არის დროის გარკვეული შუალედი ან კონკრეტული თარიღი, რომლის დროსაც უნდა იქნას ბიუჯეტში გადასახადი გადახდილი. თუმცა, საგადასახადო კანონმდებლობა არც წინასწარ გადახდას კრძალავს. ასეთი წესით გადახდილი თანხა გადამხდელს დაუჯდება ზედმეტად გადახდილ გადასახადებში და შეუძლია გადახდის ვადების დადგომის შემთხვევაში გამოიყენოს ის საგადასახადო ვალდებულების შესასრულებლად. გადასახადის გადახდის ვადები რამდენიმე ჯგუფად იყოფა:

▪ **კონკრეტული კალენდარული თარიღი** – მაგ. დაქირავებულებზე საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადახდა შრომის ანაზღაურების გაცემის დღეს;

▪ **დროის მონაკვეთი** – მაგ. დღე-ს გადახდა საანგარიშო თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

▪ **გარემოებაზე მითითება, რომელიც უნდა დადგეს** – მაგ. ფიზიკურ პირზე გადახდილი დივიდენდის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან დივიდენდის გაცემის დროს;

▪ **მოქმედებაზე მითითება, რომელიც უნდა განხორციელდეს** – მაგ. ქონების გადაცემა, ფასთაშორის სხვაობის სახით საშემოსავლო გადასახადის გადასახდელად.

**ზოგიერთ შემთხვევებში საგადასახადო კოდექსით არ არის განსაზღვრული გადასახადის გადახდის ვადა. ასეთ შემთხვევებში გადახდის ვადად აიღება დეკლარაციის ჩაბარების ვადები.** ხოლო ნებისმიერ სხვა შემთხვევაში (მ.შ. საგადასახადო ორგანოების მიერ დარიცხული გადასახადების და ჯარიმების), გადასახადის გადახდის ვადას მიეკუთვნება გადასახადის გადამხდელის, საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ მიღებიდან 15 დღის ვადა.

ახალი ეკონომიკა:

არსი და ძირითადი მახასიათებლები



საყოველთაო

გავრცელებული კლასიფიკაციით, მწარმოებელურ ძალეებში მიმდინარე თვისებრივი

ნახტომების შესაბამისად, გამოყოფენ ეკონომიკური განვითარების სამ ძირითად სტადიას: ინდუსტრიალურს, ინფუსტრირულსა და პოსტინდუსტრირულს.

ინდუსტრიალური, ანუ აგრარული სტადია დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ დაიწყო და ჩვენი წელთაღრიცხვის, თითქმის XVIII საუკუნის დასასრულამდე გრძელდებოდა. იგი გამოირჩეოდა ისეთი ნიშან-თვისებებით, როგორცაა: შრომის პრიმიტიული იარაღების გამოყენება; მუშახელის ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმება; ნატურალური ტიპის მეურნეობის დომინირებული მდგომარეობა.

კაცობრიობის განვითარების ინდუსტრირული, ანუ სამრეწველო სტადია, რომელსაც დასაბამი მისცა პირველმა სამრეწველო რევოლუციამ, გრძელდებოდა XX საუკუნის შუა ხანებამდე (ზოგან, მეტ-ნაკლები ზომით, ამჟამადაც გრძელდება). მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებია: ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარება და მრეწველობის გადაქცევა ეკონომიკის წამყვან დარგად; მანქანური შრომის ფართოდ გავრცელება საქმიანობის ყველა სფეროში; საქონლური წარმოების საყოველთაო ხასიათი.

პოსტინდუსტრირული ეპოქა, რომელსაც სხვანაირად ახალ (ინოვაციურ) ეკონომიკასაც უწოდებენ, სათავეს იღებს XX საუკუნის შუა

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვერცხლბუკის მდიანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ხანებში დაწვებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციიდან და ამჟამადაც ჩამოყალიბების სტადიაშია. მართალია, ჯერჯერობით მისი მხოლოდ კონტურები მოსჩანს, მაგრამ ეს პროცესი იმდენად ინტენსიური, შეუქცევადი და მყარია, რომ კაცობრიობა სულ მალე (თანაც უხეხად) იგემებს მის მრავალფეროვან სასიკეთო შედეგებს. საუბარია ეკონომიკაზე, რომელიც ემყარება მეცნიერულ ცოდნას, უახლეს (მეტწილად მანამდე საერთოდ უცნობ) ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ასევე, შრომის და წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ზედმიწევნით სრულყოფილ (ტრადიციული სგან არსებითად განსხვავებულ) მეთოდებს.

ახალი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლებია:

- მთავარ საზოგადოებრივ სიმდიდრედ, უმნიშვნელოვანეს ფასეულობად გვევლინება ცოდნა, საერთოდ ადამიანის ინტელექტი და არა წიაღისეული (ნავთობი, ბუნებრივი აირი, მანგანუმის მადანი და ა.შ.), ან ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური დოვლაითი (შრომის საშუალებები და პირადი მოხმარების საგნები), როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა ეპოქებში, ძირითად წარმოებრივ რესურსსა და წარმოების უნივერსალურ ფაქტორს კი ინფორმაცია წარმოადგენს.

ცოდნის ესოდენ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯერ კიდევ ერთი საუკუნით ადრე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ი. ჭავჭავაძეს. იგი წერდა: "ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი

1 იხ. ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, 2006, გვ. 40-53.

# საქონლმფლობელი სიხსნა

პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი;

ი) საქონლის დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისად იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრული გათავისუფლებით (გარდა იმ საქონლისა, რომელსაც გაუერთმელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა); გემების, საჰაერო საფრენი საშუალებებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქონლის საქართველოში დროებით შემოტანა; იმ საქონლის დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; აგრეთვე ნავთობისა და გაზის ძენა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების დროებით შემოტანა;

კ) თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში საქონლის გადატანის, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის საბაჟო დამუშავების ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის გადაამუშავების შედეგად მიღებული გადაამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ამ რეჟიმის შესაბამისად; საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, სახლგო თვეზღურის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევად განკუთვნილი საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, რომელზედაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი იტოვებს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ გარანტიას და რომლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ლ) გზანიღების შემთხვევაში, იურიდიული (გარდა ამ ნაწილის "ღკ", "ღდ" და "ღე" ქვეპუნქტებისა) ან ფიზიკური პირის მიერ ერთი დღე-ღამის განმავლობაში:

ლ.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და 0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 200 ლარამდე ღირებულების, მაგრამ საერთო წონით არა უმეტეს 5 კგ-ისა, კვების პროდუქტების იმპორტი;

ლ.ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 300 ლარამდე (ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანისას - 1500 ლარამდე) ღირებულების, 50 კგ-მდე საერთო წონის, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის (ფიზიკური პირის შემთხვევაში) განკუთვნილი საქონლის იმპორტი;

ლ.გ) 2 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლური სასმელისა და 200 ლერი სივარტის იმპორტი (გარდა 18 ლარამდე ასაკის პირის მიერ იმპორტირებულისა);

ლ.დ) უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 28-96 ჯგუფების შესაბამისი 7500 ლარამდე ღირებულების, არაერთგვაროვანი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, ხოლო უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო

საქონლმფლობელი სიხსნა  
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის  
სასაქონლო ნომენკლატურის  
06, 07, 08, 19 ჯგუფებისა და  
0401-0406, 1601, 1702-1704, 2101-2102  
სასაქონლო პოზიციების შესაბამისი  
ჯამური თანხით 200 ლარამდე  
ღირებულების, მაგრამ საერთო  
წონით არა უმეტეს 5 კგ-ისა,  
კვების პროდუქტების იმპორტი;



მივლინებიდან გამომწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი;

ღ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი;

მ) ბეშვთა კეების პროდუქტებისა და დიაბეტური კეების იმ პროდუქტების იმპორტი, რომლებიც მარკირებულია ასეთად საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისათვის; რენტგენის ფირების, ინსულინის შპრიცების (ენემების), გლუკომეტრების, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების იმპორტი;

ნ) საერთაშორისო საჰაერო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საავიაციო საწვავი, საოხი და სხვა დამხმარე საშუალებები, აგრეთვე საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საწვავი და საოხი საშუალებები. საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული საქონლის შემოტანისას გადაიხდებიან საბაჟო გადასახადი ან საბაჟო ორგანოების მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის მიხედვით იმპორტიორს უბრუნდება გადახდილი საბაჟო გადასახადის თანხა ან უქმდება გარანტია;

ო) "ნეთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნეთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი;

პ) უსასყიდოდ ჩამორთმეული, კონფისკებული, უპატრონო და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა სახელმწიფოს განკარგვაში ან საკუთრებაში;

ჟ) 2008 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნაწარმის ან/და ნედლეულის ("ტრაბზონის" ჯიშის თამბაქოს გარდა) იმპორტი."

## 18. 275-ე მუხლის:

ა) მე-5 და მე-9 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირი გადასახადს იხდის არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ნოემბრისა.

ბ) ამ კოდექსის 272-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით, მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილის განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე ქონების გადასახადი გადაიხდებიან საგადასახადო აღრიცხვის ადგილის მიხედვით მიმდინარე გადასახადების სახით და ბიუჯეტში ჩაირიცხება არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა. მიმდინარე გადასახადების სახით ბიუჯეტში ჩაირიცხული თანხა ჩაითვლება საგადასახადო პერიოდის მიხედვით გამოანგარიშებულ გადასახადის თანხად. ამასთანავე, თუ გადასახადის გადახდელი არსებობს მხოლოდ არასრული კალენდარული წლის განმავლობაში, იგი გადასახადს იხდის ამ პერიოდის პროპორციულად."

გ) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"9. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის თანხის გადახდა ხდება ყოველწლიურად ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც არ ქვემდებარება გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას - არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, ხოლო თუ დაბეგვრის ობიექტის გასხვისება აღნიშნულ ვადაზე ხდება - მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციამდე. ამ შემთხვევაში ქონების მიმღებს მიმდინარე კალენდარული წლისათვის დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა."

თავის გამოხატულებასა და დადასტურებას. მაგალითად, აშშ-ის მომსახურების სფეროში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებისთვის იყო კონცენტრირებული უპირატესად გონებრივი შრომის მუშაკთა 80%-ზე მეტი და უმადლეის კვალიფიკაციის მუშაკთა 87%!

- ინტელექტუალი დარგების (მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, ფინანსური, იურიდიული და სამედიცინო მომსახურება, მარკეტინგი, მენეჯმენტი, კონსალტინგი და ა.შ.) დაჩქარებული განვითარება და მომსახურების სფეროს გადაქცევა შრომითი საქმიანობის ძირითად სფეროდ. საკმარისია ითქვას, რომ მომსახურების სფეროს ხვედრითი წილი მე-20-ში ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრისთვის შეადგენდა: განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ 63%-ს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 49%-ს. ეს მაჩვენებელი ამჟამად დიდ ბრიტანეთში, იაპონიასა და აშშ-ში 80%-ს აღემატება;

- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური კვლევის დაჩქარებული განვითარება, რის შედეგადაც გამოიყვანება და სხვა ინოვაციების შესახებ სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია მთელ მსოფლიოში. ეს უკანასკნელი კი თავიდან გვაშორებს მეცნიერულ კვლევასთან და საშუალოა დაუბლოკებას, "ველოსიპედის ხელახლა გამოგონებასა" და მასთან დაკავშირებულ უნაყოფო ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზით ვეროპა ჯერ კიდევ ყოველწლიურად 20 მილიარდზე მეტ დოლარს კარგავს.

დღეისთვის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფორმადაა გადაქცეული ინტერნეტ-ბანკინგი, რომლის ძირითად უპირატესობას მომსახურების სისწრაფე და სიიარე წარმოადგენს. ამ ელექტრონული სახით გაწეული მომსახურების ღირებულება, ტრადიციული საბანკო მომსახურებასთან შედარებით, 8-10-ჯერ დაბალია!

- მეცნიერულ ცოდნასთან ერთად, განათლების, როგორც სპეციფიკური

საქონლის, ექსპორტის მასშტაბებისა და საერთაშორისო საქონელბრუნვაში ხვედრითი წილის ზრდა. მხედველობაში მაქვს არა მარტო მეცნიერთა, პედაგოგებისა და სხვა სპეციალისტთა ემიგრაცია საზღვარგარეთ, სადაც მსმენელებს სწავლების სხვადასხვა ფორმით გადასცემენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას, არამედ განათლების მუშაკთა მიერ უცხოეთიდან მიწვეული ახალგაზრდების სწავლების ორგანიზება საკუთარ ქვეყანაშივე. ამის ნათელი მაგალითია ავსტრალია. მისი მთელი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 10% ამ საქმიანობიდან შემოდის. ანალოგიური ვითარებაა პოლანდიაშიც;

- მეცნიერული ცოდნის წარმოებასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შორის დროის მონაკვეთის მკვეთრად შემცირება, რაც შემთხვევაში სულაც ურთიერთდამთხვევაა, რაც საზოგადოებრივი წარმოების განვითარების გადამწყვეტ ძალად აქცევს მას. როგორც ცნობილია, ელექტრობის აღმოჩენიდან პირველი ელექტროსადგურის აგებამდე ერთი საუკუნე გავიდა, ხოლო ბირთვული იარაღის იდეის შემუშავებიდან (1939 წ.) მის პრაქტიკულ გამოყენებამდე (1945 წ.) საკმარისი შეიქმნა სულ ექვსიოდე წელი;

- წარმოების საერთაშორისო ინტეგრაციისა და მსოფლიო მუდმივობის გლობალიზაციის კვალობაზე, ადგილი აქვს როგორც თითოეული პიროვნებისა და ერის, ისე მთლიანად კაცობრიობის გადასვლას ცნობიერების ახალ საფეხურზე - მეტაცოდნებასა და მეტაცნობიერებაზე, რაც გარდუვალად მოითხოვს უკიდევანო ინფორმაციის ველში მუდმივად ყოფნას და მნიშვნელოვან სიახლეებში არა მარტო გარკვევას, არამედ მათ საფუძვლიან, დრამატულ გამოცდებსაც.

მნიშვნელოვანწილად სწორედ ეს მახასიათებლები განსაზღვრავენ ახალი ეკონომიკის როგორც ცივილიზაციის დღევანდელი საფეხურის შინაარსს.

1 Экономика зарубежных стран. М., 2000, с. 148.

2 Информационная экономика и динамика переходных процессов. Сборник научных трудов, II, М., 2003, с. 149.

საბაჟო სისტემის ზოგიერთი საკითხის შესახებ



ავთანდილ ნუტლაშვილი – თბილისის წკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორი, პროფესორი



სოსო სონულაშვილი – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ბატონი ავთანდილ ნუტლაშვილი ახალი არჩეულია რექტორის თანამდებობაზე ვსარგვ- პლობთ შემთხვევით და როგორც ზვენი ჟურნალის ერთ-ერთ ავტორს, ვულოცავთ დაწინაურებას, წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ.

საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. საბაჟო ორგანოების უშუალო ფუნქციის წარმოადგენს, ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის და ეკონომიკური უშიშროების დაცვა, მსოფლიო მეურნეობასთან კავშირების გააქტიურება, საბაჟო სფეროში მოქალაქეთა, სამეურნეო სუბიექტების და სახელმწიფო ორგანოთა უფლებების და მათ მიერ თავიანთი მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა.

საბაჟო კანონმდებლობა (კოდექსი) სამართლებრივ ბაზს უქნის ისეთ ცნებებს, როგორცაა საბაჟო ტერიტორია, საბაჟო საზღვარი, საბაჟო ორგანოები, საბაჟო ვაჭორები, საბაჟო რეჟიმი, საბაჟო კონტროლი, საბაჟო გადასახდლები და სხვ.

დღეისათვის საქართველოს საბაჟო პოლიტიკის პრიორიტეტებია კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რათა საქართველოს საბაჟო ადმინისტრირების სისტემა შესაბამისობაში მოვიდეს ევროკავშირის წესებთან. ამისათვის მისი დებულებები უნდა შეესაბამებოდეს ევროსაბჭოს 1992 წლის №2913/92 დებულებით დამტკიცებულ ევროგაერთიანების საბაჟო კოდექსს და ევროსაბჭოს 1993 წლის №2454/93 დებულებით განსაზღვრულ გაერთიანების საბაჟო კოდექსის განხორციელებას დებულებებს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეთანხმების მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ შექმნილიყო საბაჟო კავშირი და ერთიანი ბაზარი, რათა უკეთესი მომსახურება გაეწია საქონლის, კაპიტალისა და ფიზიკური პირების თავისუფალ გადაადგილებას.

ევროპამ ამ გზაზე რამოდენიმე ეტაპი გაიარა:

• პირველ ეტაპზე შეიქმნა თავისუფალი საგაგრო ზონები ევროკავშირის წევრ ქვეყნებისათვის, სადაც გაუქმებულია საბაჟო გადასახდლები.

• მეორე ეტაპზე ყალიბდება ერთიანი საბაჟო კავშირი.

• მესამე ეტაპზე შეიქმნა ევროკავშირის საბაჟო კოდექსი.

ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა შემდეგ ძირითად დებულებებს მოიცავს:

1. საბაჟო გადასახდლების, საიმპორტო მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდლების გააუქმებას, რომლებიც ხელს უშლიან საქონლის თავისუფალ მიმოქცევას;

2. ერთიანი საბაჟო ტერიტორიისა და ტარიფების დაწესებას;

3. ერთიანი საქონელმიმოქცევის, საქონლის ნომენკლატურისა და საბაჟო პროცედურების დაწესებას;

4. საბაჟო ორგანოების, ფიზიკური პირებისა და იმ დაწესებულებათა პარტნიორულ ურთიერთობას, რომლებიც აწარმოებენ საქონლის გადაზიდვებს.

ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას დადგენილი აქვს საბაჟო შეზღუდვები ისეთ საქონელზე, როგორცაა იარაღი, საბრძოლო მასალები, კულტურული ფასეულობები, მედიკამენტები და ის საქონელი რომლის მიმოქცევაც აკრძალულია წევრ ქვეყნების მიერ, მაგალითად ისეთი ბეჭდვითი და ვიდეო საქონელი, რომელიც დაზავს საზოგადოებრივ მორალს.

ევროკავშირის საბაჟო კავშირი ძირითადად ეფუძნება შემდეგ დოკუმენტებს:



# მეხნიერება

- ევროკავშირის საბაჟო კოდექსი (1992 წლის №2913/92 დებულება) და საბაჟო კოდექსის განხორციელების დებულება (1993 წლის №2454/93) ;

- ევროკავშირის №918/83 დებულება ერთიანი საბაჟო გადასახადების სისტემის შესახებ;

- ევროკავშირის №2658/87 დებულება სავალდებულო სატარიფო სისტემისა და სტატისტიკური აღრიცხვის შესახებ;

- ნაციონალური კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საბაჟო ადმინისტრაციებისა და ორგანიზაციების ქმედებებს;

- და სხვა.

საბაჟო კანონმდებლობის გარდაქმნისას მნიშვნელოვანია ისეთი დებულებების დანერგვა, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური კეთილდღეობის მამოძრავებელი ძალაა. მსოფლიო სავაჭრო ურთიერთობები მუდმივად ტერიტორიული აქტების მიმართ. ამიტომ საბაჟო ადმინისტრაციებს, რომლებიც სახელმწიფო ორგანოები არიან და რომლებიც აკონტროლებენ საქონლის მიმოქცევას მსოფლიოს მასშტაბით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიო ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ამ მხრივ ყველაზე მისაღები ფორმა თანამშრომლობა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO – World Customs Organization) ფარგლებში (აერთიანებს 166 ქვეყნის საბაჟო ადმინისტრაციას, რომლებზეც მოდის მსოფლიო ვაჭრობის 99 პროცენტი).

2005 წლის 23 ივნისს ნაციონალური საბაჟო ადმინისტრაციების ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს წარმოადგენდნენ თავის ყოველწლიურ სესიაზე ქ. ბრუსელში, მიღებულ იქნა უსაფრთხოებისა და მსოფლიო ვაჭრობის გამარტივების (გადვილების) საბაზისო სტანდარტები. აღნიშნული სტანდარტები ოთხ ძირითად ელემენტს მოიცავს. კერძოდ:

1. პროცედურების უნიფიცირებას ტვირთის მოძრაობის შესახებ (შემოტანა, ტრანზიტი, გატანა) მხარეების წინასწარი ინფორმირების (შეტყობინების ელექტრონული ფორმა) დროს;
2. რისკების მართვა, უსაფრთხოების საკითხების გადაჭრის მიზნით;
3. ტვირთებისა და კონტეინერების დამატებითი შემოწმების განხორციელება, სპეციალური აპარატურის გამოყენებით (დიდიფორმატიანი რენტგენოღანდაგარები, რადიაციის დეტექტორები და სხვა), მიმღები ქვეყნის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში;

4. სპეციალური შეღავათების მინიჭება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ტვირთების მოძრაობის მინიმალურ სტანდარტებს იცავენ და მუშაობის ეფექტურ მეთოდებს იყენებენ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია რომ საბაზისო სტანდარტებს ორი ძირითადი საყრდენი გააჩნია. კერძოდ:

1. ნაციონალური საბაჟო ადმინისტრაციების შეთანხმებათა სისტემა;
2. ნაციონალური საბაჟო სამსახურებისა და მეწარმეთა პარტნიორული ურთიერთობები. თავის მხრივ, აღნიშნულ საყრდენებს თავის სტანდარტები გააჩნია, კერძოდ:

## ეროვნული საბაჟო

### ადმინისტრაციების შემთავსებამათა სისტემის სტანდარტები:

1. სასაქონლო ნაკადების მართვის კომპლექსური მიდგომა;
2. ტვირთის დამატებით შემწვების უწყობა ;
3. შემწვებისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
4. რისკების მართვის თანამედროვე სისტემა ;
5. წინასწარი ელექტრონული ინფორმაციული უზრუნველყოფა;
6. ნაციონალური საბაჟო ადმინისტრაციის შეთანხმებათა სისტემის სტანდარტების კრიტერიუმების მიზნობრივი შერჩევა და კომუნიკაცია;
7. სტატისტიკური ანგარიშების ეფექტიანობის მანერებლები;
8. უსაფრთხოების შეფასება;
9. პერსონალის მორალურ-ეთიკური ნორმები.

### საბაჟო სამსახურებისა და მეწარმეთა ურთიერთობების სტანდარტები:

1. პარტნიორობა;
2. უსაფრთხოება: უფლებამოსილი პასუხისმგებელი პირების მიერ თავის საქმიანობაში ყველაზე ეფექტური მეთოდების გამოყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით;
3. უფლებამოსილების დელეგირება: ხარისხის კრიტერიუმები სააკრედიტაციო პროცედურების დროს, რომლებსაც შეიმუშავენ საბაჟო ორგანოები სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად;

4. ტექნოლოგიები: ტვირთებისა და კონტეინერების მთლიანობის შენარჩუნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

5. კომუნიკაციები: ბიზნესსა და საბაჟო ადმინისტრაციებს შორის პარტნიორული პროგრამების რეგულარული განახლება, ტვირთბრუნვის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით;

მსოფლიოში საბაჟო სფეროში მიდინარე პროცესების შემადგენელი ნაწილია დსთ-ის სივრცეში მიმდინარე პროცესები. საწყის ეტაპთ 1995 წელი 5 იანვარი უნდა ჩაითვალოს, როდესაც რუსეთის ფედერაციისა და რესპუბლიკა ბელორუსს შორის დაიდო შეთანხმება საბაჟო კავშირის შესახებ. მოგვიანებით საბაჟო კავშირს შეუერთდა ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტჯიკეთი. ამ კავშირის მთავარი მიზანია ხელსაწყოების პირობების შექმნა მონაწილე ქვეყნების სამეურნეო სუბიექტების თავისუფალი თანამშრომლობისათვის, ურთიერთ სასარგებლო სავაჭრო კავშირების გაღრმავება, რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმება, ერთიანი საბაჟო ტერიტორიის შექმნა და ა.შ.

საბაჟო კავშირის ფარგლებში 2000 წლის 10 ოქტომბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროაზიური ეკონომიკური თანამეგობრობის დაფუძნების შესახებ. იგი შეიქმნა საბაჟო კავშირის ფორმირების ეფექტიანობის გაზრდისა და საბაჟო კავშირის შეთანხმებით დადგენილი სხვა მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის მიზნით.

საბაჟო გაფორმებას და საბაჟო კონტროლს თავისებურებანი გააჩნია, რაც დამოკიდებულია კავშირის მონაწილე ქვეყნებს შორის არსებულ საინფორმაციო დონეს. ასე მაგალითად რუსეთის ფედერაციას და ბელარუსს შორის საბაჟო საკითხები უფრო კარგადაა დარეგულირებული, რადგანაც მათ სურთ ინტეგრაციის უმაღლესი საფეხურის მიღწევა - საბაჟოშივე სახელმწიფოს შექმნა. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების საფუძველზე, რომელიც დადებულია დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის, ამ ქვეყნებიდან წარმოშობილი საქონელი განთავისუფლებულია იმპორტის საბაჟო გადასახადისაგან.

დსთ-ს სივრცეში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს, რომელიც ორმხრივი პრეფერენციების სისტემაზე ეფუძნება. ამასთან, ურთიერთ ვაჭრობის დაუბალანსების პირობებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმირება სრული მასშტაბით ვერ ხერხდება და იგი უფრო მეტ დამუშავებას მოითხოვს, რათა ყველა მონაწილეს ეკონომიკური ინტერესები იქნას გათვალისწინებული.

ვაჭრობაში ბარიერების ეტაპობრივი გაუქმების პროცესში მნიშვნელოვანია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებისა და პროცედურების გათვალისწინება.

ექსპერტების ვარაუდით ინტეგრაციულ პროცესებს დსთ-ს ფარგლებში ხელს უწყობს საწარმოების ტექნიკური ბაზის განახლება-გადართობის აუცილებლობა (მოთხოვნა ახალ ტექნიკა-დანადგარებზე ყოველწლიურად 150 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს).

დსთ-ს ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მათი გეო-პოლიტიკური და სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება. ექსპერტული შეფასებით, სატრანზიტო ტვირთების გადატანის წლიური ერთობლივი შემოსავალი დსთ-ს სივრცეში 15 მლრდ. აშშ დოლარამდე შეიძლება იქნას გაზრდილი (2000 წელს მან მხოლოდ 1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა). ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. ასე მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებზე ნავთობპროდუქტების მსოფლიო მარაგების 18%, ბუნებრივი პირის 40%-ი და ელექტროენერჯის წარმოების 10% მოდის.

საბაჟო კავშირის ფარგლებში დსთ-ს ქვეყნები იცავენ თავიანთ შიდა ბაზარს. არის მცდელობა გატარდეს შემზღუდველი ზომები მესამე ქვეყნებიდან იმ პროდუქციის შემოტანის წინააღმდეგ, რომლებიც საქმარისი ოდენობით შესაძლებელია საკუთარი ძალებით იქნას წარმოებული.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა დსთ-ს ფარგლებში არ ეწინააღმდეგება წევრ ქვეყნების ძალისხმევას თანამშრომლობა გააღრმავონ ევრო კავშირთან, სხვა რეგიონალურ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში შესვლისათვის

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ტრანსფორმაცია მოითხოვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმებისა და პრინციპების გათვალისწინებას (საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან).

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კიბითაჟ - ინიციატივა წარმოადგინს:**  
- ვაჭრობაში უპირატესი რეჟიმის შემოღება მონაწილე ქვეყნებისათვის (მონაწილე ქვეყნების სია თან ერთვის, დანართი 1);

- სატარიფო მეთოდებით ვაჭრობის რეგულირება;
- რაოდენობრივი და სხვა სახის შესუღვრებზე უარის თქმა;
- სავაჭრო პოლიტიკის გამჭვირვალობა;
- კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით სავაჭრო დავების გადაჭრა.

**მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წამყვან ფუნქციებს წარმოადგენს:**

- კონტროლი ურუგვიის რაუნდით გათვალისწინებულ შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების დოკუმენტების პაკეტის შესრულებაზე;
- მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების ჩატარება დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- სავაჭრო დავების დარეგულირება (გადაწყვეტა);

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განვითარებული ქვეყნების ტექნიკური დახმარება ;

- სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობიდან გამომდინარე უპირატესობანი შეიძლება შემდეგ ნაირად ჩამოყალიბდეს:

- საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე გასვლისთვის ხელსაყრელი პირობების მოპოვება წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების პირობებში;

- ვაჭრობაში დისკრიმინაციის დაძლევა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დავების გადაწყვეტის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას, მათი პარტნიორის მიერ დარღვევის შემთხვევაში;

- თავისი მიმდინარე და სტრატეგიული სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებებში ეფექტური მონაწილეობის გზით.

მთლიანობაში, სამართლებრივი თვალსაზრისით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სისტემა წარმოადგენს ე.წ. მრავალმხრივ კონტრაქტს (შეთანხმებების

პაკეტს), რომელთა ნორმებით და წესებით მსოფლიო ვაჭრობის 97%-ი რეგულირდება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა მრავალწლიანი მოლაპარაკებების შედეგად, ეგრეთ წოდებული ურაგვიის რაუნდის ფარგლებში, რომელიც 1993 წელს დასრულდა. ოფიციალურად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გაფორმდა მარაქმოს კონფერენციაზე 1994 წლის აპრილში (კონფერენციაში 124 ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი მონაწილეობდა). აღნიშნული პროცესი, ასევე ცნობილია, როგორც მაროკეშოს ხელშეკრულებები. იგი ძირითადი (ხელშეკრულების) ტექსტის გარდა 4 დამატებას მოიცავს, კერძოდ:

**დამატება 1:**

- მრავალმხრივი შეთანხმებები საქონლით ვაჭრობის შესახებ;
- გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ;
- შეთანხმება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებებით ვაჭრობის შესახებ;

**დამატება 2:**

ურთიერთგაგება დავების პროცედურებისა და მათი გადაწყვეტის შესახებ;

**დამატება 3:**

სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის (მონიტორინგის) მექანიზმის შესახებ;

**დამატება 4:**

- შეთანხმება სამოქალაქო ავიატექნიკით ვაჭრობის შესახებ;
- შეთანხმება სამთავრობო შესყიდვების შესახებ.

მრავალმხრივი შეთანხმებები (სულ 13) საქონლით ვაჭრობის შესახებ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის არქიტექტონიკის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ამ პაკეტით განისაზღვრება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა - საქონლის საბაზო ღირებულების დადგენის წესი; ადგენს საქონლის წარმოშობის პრინციპებს; იმპორტის ლიცენზირების პროცედურებსა და ფორმებს; სუბსიდიების გამოყენების

პირობებსა და პროცედურებს და სხვა. სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართ №1.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ ქვეყანასთან მრავალმხრივი მოლაპარაკებები იმართება, რომლის შედეგადაც ყოველივე მათგანთან გაწვერიანების ინდივიდუალური პირობები ყალიბდება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ახალი წევრების წინაშე ერთი ყველაზე მთავარი მოთხოვნა სოფლის

მეურნეობას შეეხება, კერძოდ სოფლის მეურნეობის ექსპორტის სუბსიდირების შეწყვეტა. ყველა ახალმა წევრმა აიღო ვალდებულება სოფლის მეურნეობის მხარდამჭერა მთლიანი ეროვნული პროდუქტის გარკვეულ პროცენტულ ზღვრებში მოექცია (ძირითადად 5 - 10 %). დეტალურ ინფორმაციას დანართი №2 იძლევა.

## ბამოყენებული წყაროები

1. ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი - <http://www.ipprolaw.com/article26.htm>
2. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ინტერნეტ საიტი <http://www.wto.org>
3. WTO Annual Report - <http://www.wto.ru/ru/content/documents/docs/Supach02.doc>
4. Constantine Michalopoulos. The Integration of Transition Economies into the World Trading System. - [http://wdsbeta.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/1999/10/07/000094946\\_99092312090524/Rendered/INDEX/mulli\\_page.txt](http://wdsbeta.worldbank.org/external/default/WDSContentServer/IW3P/IB/1999/10/07/000094946_99092312090524/Rendered/INDEX/mulli_page.txt)
5. International trade and the growth of nations - <http://spirit.tau.ac.il/public/bendavid/worldbank/>
6. ТАМОЖЕННЫЙ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ ТАДЖИКИСТАН - <http://www.cis-legal-reform.org/document.asp?id=7106#ras10>
7. CUSTOMS CODE OF THE REPUBLIC OF MOLDOVA <http://www.imf.md/laws/Customs%20Code%20of%20RM.pdf>
8. Estonian Customs Act [http://www.era.int/domains/corpus-juris/public\\_pdf/estonia\\_customs\\_act.pdf](http://www.era.int/domains/corpus-juris/public_pdf/estonia_customs_act.pdf)
9. Customs Code of Romania - [http://www.customs.ro/vami\\_en/pdf/5937.pdf](http://www.customs.ro/vami_en/pdf/5937.pdf)
10. Customs Law of Latvia - <http://www.ttc.lv/New/v/tulkojumi/E0037.doc>
11. LAW ON CUSTOMS Republic of Bulgaria, - [http://www.en.customs.bg/uploaded\\_pics/docs.1.LawCustoms.en.pdf](http://www.en.customs.bg/uploaded_pics/docs.1.LawCustoms.en.pdf)
12. ПРЕДМЕТ И СИСТЕМА ТАМОЖЕННОГО ПРАВА ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА <http://weec.ovl.ru/read/59.html>
13. ТАМОЖЕННЫЙ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ <http://www.parliament.am/legislation.php?sel=show&ID=1208&lang=rus>
14. ТАМОЖЕННЫЙ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ <http://www.main.gov.by>
15. [http://vch.ru/cgi-bin/ur\\_lic.cgi?razdel=11&pod\\_razdel=0](http://vch.ru/cgi-bin/ur_lic.cgi?razdel=11&pod_razdel=0), [http://vch.ru/cgi-bin/ur\\_lic.cgi?razdel=10&pod\\_razdel=0](http://vch.ru/cgi-bin/ur_lic.cgi?razdel=10&pod_razdel=0) - დსთ-ის საბაჟო კავშირის ისტორია და საქონლის გაფორმების წესები
16. Рамочные стандарты безопасности и облегчения мировой торговли - [http://www.vch.ru/cgi-bin/guide.cgi?table\\_code=9&a\\_ction=show&id=323#up](http://www.vch.ru/cgi-bin/guide.cgi?table_code=9&a_ction=show&id=323#up)
17. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ინტერნეტ საიტი (World Customs Organization) - <http://www.wcoomd.org/ie/En/en.html>



## მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მრავალმხრივი შეთანხმებები საქონლით ვაჭრობის შესახებ

შეთანხმების სახელწოდება	შეთანხმების მოქმედების პერიოდი
გერმანული შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1994 წ.	განსაზღვრავს საქონლით ვაჭრობის ძირითად რეგულაციებს ამ სფეროში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნების ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს
გერმანული შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ 1947 წ.	განსაზღვრავს საქონლით ვაჭრობის ძირითად რეგულაციებს ამ სფეროში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნების ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს
შეთანხმება სოფლის მეურნეობის შესახებ	განსაზღვრავს სასოფლისმეურნეო საქონლით ვაჭრობის რეგულაციების თვისებურებს და ამ სფეროში წარმოებისა და ვაჭრობის მხარდგობის სახელმწიფოებრივ მექანიზმს
შეთანხმება ტექსტილის შესახებ	განსაზღვრავს ტექსტილში და ტანსაცმელში ვაჭრობის რეგულაციების თვისებურებს
შეთანხმება სანტარული და ფიტოსანტარული სიძნელის გამოცემების შესახებ	განსაზღვრავს სანტარული და ფიტოსანტარული კონტროლის გამოცემების პირობებს
შეთანხმება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ	განსაზღვრავს სტანდარტების ტექნიკური რეგულაციებისა და სერტიფიკაციის პროცედურების გამოცემების პირობებს
შეთანხმება ვაჭრობაში განხორციელებული ინვესტიციების შესახებ	მოიცავს ზომებს რომელიც მიმართულია ადგილობრივი საქონლის მიწოდების წახალისების წინააღმდეგ განხორციელებული ინვესტიციების გამო
შეთანხმება საქონლის საბაო შეფასების გამოცემების შესახებ	განსაზღვრავს საქონლის საბაო ღირებულების დადგენის წესს
შეთანხმება ვაღატეობაზე საქონლის ინსპექტირების შესახებ	აფხვს ვაღატეობაზე საქონლის ინსპექტირების ნაბიჯების პირობებს
შეთანხმება საქონლის წარმოების შესახებ	აფხვს საქონლის წარმოების პირობებს
შეთანხმება იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შესახებ	განსაზღვრავს იმპორტის ლიცენზირების პროცედურებსა და ფორმებს
შეთანხმება სუბსიდიებისა და სუბსიდიათა ზომების შესახებ	აფხვს სუბსიდიების გამოცემების პირობებსა და პროცედურებს
შეთანხმება ფემინების გამოცემების შესახებ	აფხვს პირობებსა და პროცედურებს რომლებიც გამოიყენება ფემინების წინააღმდეგ



მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერთებული ქვეყნების ვალდებულებები და მოვალეობები სხვადასხვა სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით

კატეგორია	პროდუქტის კოდი	წელი	საერთო ვალდებულება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე	საერთო ვალდებულება სხვა პროდუქტებზე	სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი (ერთსებრი)	სოფლის მეურნეობის პროდუქტების წილი (ერთსებრი)
გაბილი	110	1996	25,8% (ძირითადი 15-30 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი, სოციალური დაცვის მიზნით სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	20,1% (ძირითადი 15-30 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %	0
ბელარუსი	180	1996	33,9 (ძირითადი 15-33 %), გარდამავალი პერიოდი 5-6 წელი, სოციალური დაცვის მიზნით სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	12,6% (ძირითადი 5-25 %), გარდამავალი პერიოდი 15 წელი	ოთხი წლის განმავლობაში სუბსიდიების 79% შექმნება	35,8% რეალური დახარჯების, სოფლის მეურნეობის 22,0% შექმნება
მონღოლი	350	1997	18,4 (ძირითადი 10-30 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	20,0% (ძირითადი 10-20%), გარდამავალი პერიოდი 5 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %	0
ფილიპინები	300	1998	11,7 (ძირითადი 5-20 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი, გარდა ამისა გარდა ამისა გარდამავალი პერიოდი 5 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	5,8% (ძირითადი 0-10%), გარდამავალი პერიოდი 5 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 5 %	0
საქართველო	620	2000	12,1 (ძირითადი 12-20 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	5,8% (ძირითადი 0-10%), გარდამავალი პერიოდი 5 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %	0
ილანდია	870	2000	10,6 (ძირითადი 10-20 %), გარდამავალი პერიოდი 7 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	6,9% (ძირითადი 0-10%), გარდამავალი პერიოდი 9 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %	0
მალდოვა	370	2001	ძირითადი 10-15 %, მაქსიმალური 40% გარდამავალი პერიოდი 4 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	ძირითადი 10-20%, მაქსიმალური 40% გარდამავალი პერიოდი 4 წელი	ოთხი წლის განმავლობაში 16%-ის შექმნება	0
პანამა	3070	1997	26,1% (ძირითადი 10-30 %), გარდამავალი პერიოდი 14 წელი, სოციალური დაცვის მიზნით სპეციალური დაცვითი ღონისძიებები გამოყენება	11,2% (ძირითადი 5-30%), გარდამავალი პერიოდი 14 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %	0
ლატვია	2470	1999	33,8% (ძირითადი 10-40 %), გარდამავალი პერიოდი 9 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	11,9% (ძირითადი 15%), გარდამავალი პერიოდი 9 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 10 %; 24 მან. სურსათი გამოყენება 2003 წლის 1 იანვარზე	0
ესტონია	3480	1999	17,7% (ძირითადი 10-30 %), გარდამავალი პერიოდი 5 წელი, სპეციალური დაცვითი ღონისძიებები	6,6% (ძირითადი 15%), გარდამავალი პერიოდი 6 წელი	პოლიტრონიკის პროდუქტების 5 %	0

\* - შეთანხმება ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ ითვალისწინებს ვაჭრობაში ყველა საიმპორტო გადასახადებისა და დარჩენილი ტარიფების შემცირებას ნულამდე საინფორმაციო ტექნოლოგიის სფეროს პროდუქტებზე.

\*\* - სდრ („SDR“- Special Drawing Rights) – ხელოვნური ფულადი ერთეული, რომელიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ოთხი წამყვანი ქვეყნის ვალუტის ბაზაზე.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა



ელენე ხარაბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნებრივი აღივსისა და აუდიტის პროგრამის სრული პროფესორი, საქართველოს დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი

1. არამატერიალური აქტივების არსი და სხვაობა

არამატერიალური აქტივები გრძელვადიანი აქტივების ერთერთ სახეს წარმოადგენს. ბასს 38-ის „არამატერიალური აქტივები“ მიხედვით, „არამატერიალური აქტივი“ არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე“. ამ განმარტებით მოითხოვება აქტივის იდენტიფიცირებადობა, გუდვილისაგან მისი გამიჯვნის მიზნით.

აქტივი აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივის განმარტების იდენტიფიცირებადობის კრიტერიუმს, როცა იგი:

- განცალკევებადია, ე.ი. შესაძლებელია მისი გამოყოფა და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცემა ცალკე ან მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად; ან

- წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული უფლებების გადაცემა ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან.

ბასს-ის მიხედვით, „საწარმო აკონტროლებს არამატერიალურ აქტივს“ თუ მას გააჩნია რესურსების მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება. ამასთან, მას შეუძლია შეზღუდოს ამ სარგებლის სხეების მიერ მიღების უფლება“. მაშასადამე, არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება საშუალებები, რომელთაც მატერიალური, ნივთიერი, ხელშესახები ფორმა არ გააჩნიათ, მაგრამ საწარმოსათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

არამატერიალური აქტივისაგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოიცავდეს საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან ამონაგებს, ხარჯების ეკონომიას ან საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების შედეგად მიღებულ რაიმე სხვა სარგებელს.

სწორედ აღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, ძნელდება არამატერიალური აქტივების ღირებულების შეფასება, ხოლო მათი სასარგებლო გამოყენების ვადა, ხშირად განსაზღვრას არ ექვემდებარება. მაშასადამე, ძნელია არამატერიალური

აქტივების გამოყენებით მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის დადგენაც.

არამატერიალური აქტივები, უმეტეს შემთხვევაში, მათი მფლობელების უფლებების ლეგალიზაციას, ან საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, მათი უპირატესობის მხარდაჭერას ემსახურება.

არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება: სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნა, ახალი პროცესები ან სისტემები, ლიცენზიები, ინტელექტუალური საკუთრება, ბაზრის შესწავლა და სავაჭრო ნიშნები (სასაქონლო ნიშნებისა და პუბლიკაციების და სახელელების ჩათვლით).

არამატერიალური აქტივების კონკრეტული მაგალითებია: პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები, კონცესიები, სააგტორო ან სხვა უფლებები, კონტები იმპორტზე, ფრანჩიზი, გუდვილი და სხვა, თუ ისინი აკმაყოფილებენ არამატერიალური აქტივის განმარტებას, იდენტიფიცირებადობის, რესურსების კონტროლისა და მომავალი ეკონომიკური სარგებლის არსებობის მოთხოვნებს.

არამატერიალური აქტივების ისეთი სახეები, როგორცაა პატენტები, ლიცენზიები, კონცესიები, სააგტორო უფლებები, სავაჭრო ნიშნები, წარმოადგენენ საწარმოს უფლებას გარკვეულ სფეროში.

პატენტი 1) გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტია, რომელიც მისი მფლობელის ავტორობას და გამოგონების დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას ადასტურებს.

2) სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია. მაშასადამე, პატენტი სახელმწიფო აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტია. იგი მის

მფლობელს პატენტარებული საგნის გამოყენებისა და მონოპოლიური შემოსავლის მიღების უფლებას აძლევს. პატენტი გარკვეული ვადით გაიცემა.

ლიცენზია საქმიანობის განხორციელების ნებართვაა. 1) ლიცენზია რომელიმე სახის საქმიანობის განხორციელების ნებართვაა. 2) ლიცენზია სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული ნებართვაა განსაზღვრულ სფეროში, ვადებში და მოცულობით სავაჭრო საქმიანობის (მ.შ. საერთაშორისო ეკონომიკური) განხორციელების შესახებ.

კონცესია ეკონომიკური აგენტების სამართალურთიერთობაა, როდესაც ერთი მხარე (უფლებამოსილი) მეორე (მოსარგებლე) მხარეს გადასცემს უფლებამოსილებას, სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, ანაზღაურებად საფუძველზე, ვადით ან უვადოდ. კონცესიის ხელშეკრულება ითვალისწინებს განსაკუთრებული უფლებების, საქმიანი რეკუპტაციისა და კომერციული გამოცდილების გამოყენებას მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში და მოცულობით.

სააგტორო უფლება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ავტორის მიერ შესრულებული ნაშრომის გავრცელებისა და ტირაჟირების კანონით მინიჭებული მონოპოლიური უფლებაა. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა ანალოგიური აქტივების ტირაჟირების უფლება კოპირაიტად იწოდება.

ფრანჩაიზინგი (შელავათი, პრივილეგია) წარმოადგენს ერთი საწარმოს მიერ მეორეზე მის საკუთრებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების გამოყენების უფლების გადაცემას, კონკრეტული პირობების დაცვით,



## ბუღალტრული აღიხსნვა

ანაზღაურებად საფუძველზე ფრანჩაიზინგი მსხვილი და მცირე საწარმოების ურთიერთობებისა და სამეურნეო ინტეგრაციის ფორმაა, როდესაც მსხვილი საწარმო (ფრანჩაიზერი) მცირე საწარმოს თავისი სავაჭრო ნიშნის სარგებლობის უფლებას გადასცემს, ანაზღაურებად საფუძველზე. ფრანჩაიზერმა შეიძლება გასცეს შედავითიანი კრედიტი, ან იყოს გარანტი სესხის მიღებისას. მცირე მეწარმეობისათვის ფრანჩაიზინგი უპირატესობა მინიმალური დანახარჯებით ბიზნესის განვითარებაში მდგომარეობს. თავის მხრივ, ფრანჩაიზერი აფართოებს საქმიანობის გეოგრაფიასა და შესაბამისად, შემოსავლებს მინიმალური ინვესტირებითა და რისკით, ინარჩუნებს ორგანიზაციულ კომპაქტურობას. ფრანჩაიზინგმა ფართო გავრცელება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სასტუმრო ბიზნესში პოვა.

სავაჭრო ნიშნები საწარმოებისა და მათი პროდუქციის დასახელებათა, რომელიც დაცულია კანონმდებლობით სხვა საწარმოების მიერ არასანქცირებული გამოყენებისაგან.

გუფილი საწარმოს ფასს, მის საქმიან რეპუტაციას ნიშნავს და ძირითადად, ყალიბდება კლიენტებთან საწარმოს კარგი ურთიერთობებით. ამ ურთიერთობების მიზეზი შეიძლება იყოს საწარმოს, როგორც სანდო მიმწოდებლის რეპუტაცია, საწარმოს კარგი მართვა, კარგი ურთიერთობა პერსონალთან, პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, მოგების მაღალი ნორმა, საწარმოს კარგი გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა.

სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დანახარჯები ყველა იმ დანახარჯს მოიცავს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-

საკონსტრუქტორო საქმიანობასთან, რომელიმე პრაქტიკული მიზნის ან გამოყენების სფეროს შესახებ ცოდნის ამაღლებასთან, კონკრეტული ნაკეთობის დანერგვის ან მისი გაუმჯობესების სამუშაოებთან.

სხვა არამატერიალურ აქტივებს შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, საწარმოს დაფუძნების ხარჯები, ელექტრონულ გამოთვლელი მანქანების პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ხდება თითოეული კონკრეტული სახის არამატერიალური აქტივისათვის განკუთვნილ ანგარიშზე.

ამჟამად მოქმედი ანგარიშთა გეგმით, რომელიც საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 1999 წლის 12 აგვისტოს №1 დადგენილებითაა დამტკიცებული, არამატერიალური აქტივების აღსარიცხავად გათვალისწინებულია გრძელვადიანი აქტივების ჯგუფი 2500 - „არამატერიალური აქტივები“, ხოლო არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღსარიცხავად გათვალისწინებულია ჯგუფი 2600 - „არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია“.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი მომენტები:

- პირვანდელი ღირებულების განსაზღვრა;
- სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა;
- ამორტიზაციის აღრიცხვა.



**დასმულ კითხვებზე პასუხობს ჩვენი ჟურნალის ექსპერტი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი-  
თიიზრაზ კოპალიაშვილი**

**კითხვა:**

რა სახის და რა რაოდენობის სახელმწიფო გადასახადს გადაიხდის ინდივიდუალური მეწარმე ჩინეთიდან DHL-ის ამანათით (ამანათის გამოგზავნის ღირებულებაა 400 ლარი) მიღებულ საქონელში, რომლის ღირებულებაა—

- პირველ შემთხვევაში 1000 ლარი,
- ხოლო, მეორე შემთხვევაში 3000 ლარი.

**პასუხი:**

განსახილველ შემთხვევებში მნიშვნელობა აქვს თუ რა სახის საქონელთან გვაქვს საქმე. ნებისმიერი საქონლის იმპორტი დაიბეგრება საბაჟო მოსაკრებლით (ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ოდენობით) და დამატებული ღირებულების გადასახადით (საბაჟო ღირებულების 18%-ის ოდენობით. საბაჟო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვის ფასს, ამ საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრამდე გაწეულ ნებისმიერ ხარჯს, საქონლის იმპორტისას გადასახდელ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს). დამატებით, ზოგიერთ საქონელზე გადასახდელი იქნება აგრეთვე საბაჟო ტარიფი, რომლის სიდიდე განისაზღვრება ტარიფის შესახებ საქართველოს კანონით.

**კითხვა:**

იმპორტული საქონელი, რომელიც დაიბეგრა დღე-თი საბაჟო სამსახურის მიერ ქვეყანაში შემოტანისას, იბეგრება თუ არ

ხელმეორედ, თუ ამ საქონელს შემოტანი გაყიდვის საბითუმო ფასებში სხვადასხვა რეალიზატორებზე, (მაღაზიებზე და სხვ.)

**პასუხი:**

ზოგადად, დამატებული ღირებულების გადასახადით იბეგრება, როგორც საქონლის იმპორტი, ისე მისი მიწოდება. ამდენად, ჩვეულებრივ იმპორტირებული საქონლის მიწოდებაც უნდა დაიბეგროს ამ გადასახადით. თუმცა, აქ მნიშვნელობა აქვს იმას, არის თუ არა აღნიშნული იმპორტიორი რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად. თუ ის წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს (რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად), მაშინ მის მიერ განხორციელებული საქონლის მიწოდება დაიბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით. ამასთან, მას აქვს უფლება ჩაითვალოს ან დაიბურუნოს ამ საქონლის იმპორტის დროს საბაჟოზე გადახდილი დღგ-

იმ შემთხვევაში, თუ ეს იმპორტიორი არ წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს (არ არის რეგისტრირებული და არ არის ვალდებული გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად), მის მიერ საქონლის მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით არ დაიბეგრება. ამასთან, ის ვერ ჩაითვლის და ვერ დაიბურუნებს საბაჟოზე გადახდილ დღგ-ს.

## კითხვა:

ერთიდაიგივე საქონლის შემოტანისას როგორ იბეგრება ინდ. მეწარმე და შპს:

ა) საბაჟოს მიერ (დღგ, აქციზი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვ.);

ბ) საგადასახადო სამსახურის მიერ (საშემოსავლო, სოციალური და მოგების გადასახადები)?

## პასუხი:

საერთოდ, საქონლის იმპორტი იბეგრება საბაჟო მოსაკრებლით, საბაჟო ტარიფით, აქციზით (მხოლოდ აქციზური საქონელი) და დამატებული ღირებულების გადასახადით. ამასთან, დაბეგვრაში რაიმე განსხვავებას საქონლის შემომტანი პირების (იმპორტიორების) მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. გამონაკლისს წარმოადგენს კანონი „საბაჟო მოსაკრებლის შესახებ“, რომელიც უშვებს გარკვეულ შეღავათებს ფიზიკური პირების (მათ განეკუთვნებიან ინდივიდუალური მეწარმეებიც) მიერ საქონლის იმპორტირებისას. კერძოდ, ფიზიკური პირის მიერ 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების მქონე საქონლის იმპორტისას გათვალისწინებული საბაჟო გაფორმების პროცედურებისთვის გათვალისწინებულია საბაჟო მოსაკრებელი ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ექვივალენტი ლარებს ში. მაშინ როდესაც იურიდიული პირებისათვის (მათ განეკუთვნება აგრეთვე შპს-ც) ეს მოსაკრებელი შეადგენს 60 ევროს ექვივალენტს ლარებში ერთ დეკლარაციაზე. ასევე, ერთნაირად იბეგრება ფიზიკური პირის (ინდივიდუალური მეწარმის) და იურიდიული პირის (მათ შორის შპს-ს) სამეწარმეო საქმიანობა ქვეყნის შიგნით დამატებული ღირებულების გადასახადით და აქციზით.

დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი, როგორც საქონლის იმპორტისას ისე მისი მიწოდებისას, შეადგენს 18%-ს. ამასთან, იმპორტისას ამ გადასახადს იხდის

ნებისმიერი იმპორტიორი, ხოლო საქონლის მიწოდებისას – მხოლოდ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული (ან ასეთი რეგისტრაციის ვალდებულების მქონე) იურიდიული ან ფიზიკური პირი.

აქციზის განაკვეთი დიფერენცირებულია საქონლის სახეების მიხედვით.

გარდა აღნიშნულისა, იურიდიული პირები იხდიან ყოველთვიურად სოციალურ გადასახადს გაცემული ხელფასის 20%-ის ოდენობით და ეკონომიკური საქმიანობის წლიური შედეგების მიხედვით – მოგების გადასახადს წლიური დასაბეგრი მოგების 20%-ის ოდენობით. საშემოსავლო გადასახადს იურიდიული პირი არ იხდის. მისი გადამხდელია ხელფასის მიმღები, დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირი. მოქმედი კანონმდებლობით იურიდიულ პირს ევალება მასთან დაქირავებით მომუშავე და, შესაბამისად, ხელფასის მიმღები ფიზიკურ პირებს დაუკავოს გასაცემი ხელფასიდან ამ პირის მიერ გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი და შეიტანოს ის ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთია ღარიცხული ხელფასის 12%.

ინდივიდუალური მეწარმის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავლები (კანონით განსაზღვრული გამოკეითეების გამოკლებით) იბეგრება სოციალური გადასახადის 20%-იანი განაკვეთით, ხოლო ამის შემდეგ დარჩენილი თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთით. შესაბამისად, ინდივიდუალური მეწარმეები მოგების გადასახადის გადამხდელები არ არიან. ამასთან, ინდივიდუალური მეწარმეებს, მათ მიერ დაქირავებულ პირებზე გაცემულ ხელფასებთან დაკავშირებით ეკისრებათ იგივე პასუხისმგებლობები (სოციალური გადასახადის გადახდა გაცემულ ხელფასზე, საშემოსავლო გადასახადის დაკავება დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასებიდან და მათი შეტანა ბიუჯეტში) რაც იურიდიულ პირებს.

საქართველოს კანონი

საქართველოს საბაღასახალო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მიღებულია - 29.12.2006 წ. ძალაშია - 01.01.2007 წ. 01.01.2007 წ. - მდგომარეობით

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

2. მე-9 მუხლის:

ა) მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ვ" ქვეპუნქტი:

"ვ) საბაუო გადასახადი.;"

ბ) მე-5 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-12 მუხლის:

ა) მე-18 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"18. საქონლის ექსპორტი, საქონლის იმპორტი, საქონლის რეექსპორტი, საქონლის ტრანზიტი, საქონლის დროებით შემოტანა, საბაუო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება, გადამუშავებული პროდუქტი, გადაუმუშავებელი საქონელი, საქართველოს საბაუო ტერიტორია და საბაუო საზღვარი - თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განისაზღვრება საქართველოს საბაუო კანონმდებლობის შესაბამისად.;"

ბ) 22-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"22. აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა - ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხა, რომელიც:

ა) გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს მიერ;

ბ) დადასტურებულია საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) დადასტურებულია ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებით;

დ) წარმოშობილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.;"

გ) 24-ე და 25-ე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"24. საგადასახადო დავალიანება - სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

25. აღიარებული საგადასახადო დავალიანება - სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის აღიარებულ ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების ან/და სანქციების მიხედვით აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.;"

4. მე-13 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც სორციელდება საუაჭრო გარიგებების ან სხვა სამეურნეო ოპერაციების სახით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ან სხვა ქონების შექმნასა და

# საკანონმდებლო სიხსნე

რეალიზაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისტემატურად და აღნიშნული ოპერაციების განმახორციელებელი პირის პროფესიული საქმიანობა;

ბ) ხდება გამყიდველის მიერ წარმოებული საქონლის/გაწეული მომსახურების რეალიზაცია;

გ) ასეთი ოპერაციები ხორციელდება სავაჭრო, სავაჭრო-საშუამავლო (დილერის საქმიანობის ჩათვლით) ან საშუამავლო საქმიანობის ფარგლებში.”

5. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 44. მიმოწერა გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის

1. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის მიმოწერა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში - ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ფორმით მიმოწერის შემთხვევებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

2. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო ორგანოს შორის წერილობითი ფორმით გასაგზავნი ნებისმიერი დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ (გვარის, სახელისა და თანამდებობის მითითებით) და დამოწმებული უნდა იყოს ბეჭდით (თუ აქვს ბეჭედი). ადრესატს უნდა გადაეცეს დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ასლი.

3. წერილობითი ფორმის “საგადასახადო მოთხოვნა”, შეტყობინება, “გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა”, საგადასახადო დეკლარაცია, საჩივარი, სხვა დოკუმენტი ან წერილი გადაცემულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს უშუალოდ ან დაზღვეული საფოსტო გზაზენილით.

4. დაზღვეული საფოსტო გზაზენილით გაგზავნის შემთხვევაში დოკუმენტის/წერილის გადაცემის თარიღად ითვლება საფოსტო გზაზენილის ჩაბარების თარიღი.”

6. 57-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საგადასახადო ვალდებულებად ითვლება გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებულ პირის ვალდებულება, გადაიხადოს ამ კოდექსით დაწესებული და შემოღებული გადასახადი, აგრეთვე ამ კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით შემოღებული გადასახადი, ასევე დაქირებული საგადასახადო სანქცია.”;

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს და სხვა ვალდებულ პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრებათ საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადის ან/და სანქციის თანხის გადახდას.”;

გ) მე-3 ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:

“4. საგადასახადო ვალდებულების თანხობრივი გაანგარიშება ხდება სრულ ლარებში. ამ მიზნით საგადასახადო ვალდებულება 1 ლარამდე ნულდება.”

7. 133-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. ამ მუხლის მიზნებისათვის, შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე გადასახადებით დასაბეგრი სხვა ობიექტების აღრიცხვის წესის დარღვევად ითვლება პირველადი დოკუმენტების, სასაქონლო ზედნაღებების (დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-შ-ფაქტურების), საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრების უქონლობა, ან დადგენილი წესის დარღვევით მათი წარმოება, სათაშაო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნის ან/და დალუქვის გარეშე შესაბამისი



დაბეგერის ობიექტის არსებობა, აგრეთვე ბულაღტრული აღრიცხვის ანგარიშებზე და ანგარიშგებაში გადასახადის გადამხდელის სამეურნეო ოპერაციების, ფულადი სახსრების, მატერიალური ფასეულობების, არამატერიალური აქტივებისა და ფინანსური დაბანდებების სისტემატურად (კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ და მეტჯერ) არადროულად ან არასწორად ასახვა.

8. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის “შ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “შ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;”.

9. 172-ე მუხლის “ე” და “ზ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ე) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

ზ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;”.

10. 230-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) “თ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“თ) საქონლის იმპორტი ამ კოდექსის 2705 მუხლის “ლ” ქვეპუნქტის შესაბამისად;”;

ბ) “ლ”, “ო” და “ნ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ლ) საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის “შ” ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის, გემების, სააერო საფრენი საშუალებების დროებით შემოტანისა, საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული საქონლის დროებით შემოტანისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებულებების, ეკრძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოში საქონლის დროებით შემოტანისა), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდევინება დღე ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას საქართველოს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით ბრუნდება დღე-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

შ) რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი. რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდევინება დღე ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას ბრუნდება დღე-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ნ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოსაქცევადაც განკუთვნილი საქონლის იმპორტი, რომელზედაც გადაიხდევინება დღე ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოს

ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას ბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით. გადაამუშავების პროდუქტების იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევისას გარანტიის შესაბამისი თანხები წარმართება სახელმწიფო ბიუჯეტში“;

გ) “ჟ” ქვეკუნქტის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის “კ” ქვეკუნქტი:

“კ) თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწვობში საქონლის გადატანის, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ საქონლის განადგურების ან სახელმწიფო საკუთრებაში საქონლის გადაცემის საბაჟო დამუშავების ოპერაციისთვის განკუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა; საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული დაბრუნებული საქონლის, საზღვაო თევზჭერის ან ზღვის სხვა პროდუქტების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა.”.

11. 231-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეკუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ბ) საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ”.

12. 233-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების მიწოდება იბეგრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით. საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად განკუთვნილი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას გადაიხდებიან დღგ ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით”;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე საწვავისა და საპოხი საშუალებების მიწოდება იბეგრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით. საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად განკუთვნილი საწვავისა და საპოხი საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას გადაიხდებიან დღგ ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება დღგ-ის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით. საწვავისა და საპოხი საშუალებების ბორტზე მიწოდების ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით”.

13. 236-ე და 237-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 236. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადაამუშავების პროდუქტის ან გადაამუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანის დაბეგრვა

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადაამუშავების პროდუქტის ან გადაამუშავებელი საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანა იბეგრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით.

მუხლი 237. ელექტროენერგის მიწოდების, აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურების დაბეგრვა

2008 წლის 1 იანვრამდე ელექტროენერგის მიწოდება, გარდა ელექტროენერგის მომხმარებლისათვის მიწოდებისა (მათ შორის, სხვა მომხმარებლისათვის შემდგომი მიწოდების მიზნით), აგრეთვე გადაცემის ან/და დისპეტჩერიზაციის მომსახურება იბეგრება დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით”.

14. 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "გ) საბაჟო დეკლარაციას საქონლის ექსპორტის საბაჟო რეჟიმში გაშვების შესახებ".

15. 265-ე მუხლის:

ა) "დ" და "ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ) აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული აქციზური საქონლის დროებით შემოტანისა, აგრეთვე იმ მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, და მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების, კერძოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენების მშენებლობის, შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის), აგრეთვე საქართველოს საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული იმ აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდებიან აქციზი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას საქართველოს საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით ბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

ე) საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდებიან აქციზი ან საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, იმპორტიორს მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით";

ბ) "თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"თ) საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავისა და საპოხი საშუალებების იმპორტი, რისთვისაც გადაიხდებიან აქციზი ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია. იმპორტიორს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე ფაქტობრივად მიწოდებული ამ საქონლის მოცულობის მიხედვით."

16. 270-ე მუხლის "ზ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ზ) 2008 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული და საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებლად (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით დააკავებული პირის მიერ აღნიშნულ საქმიანობაში დაქირავებულისათვის გადახდილი ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს."



17. კანონს XII კარის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XII კარი:  
“კარი XII’

საბაჟო გადასახადი

თავი XXXIX’

საბაჟო გადასახადი

მუხლი 270 . გადასახადის გადამხდელი

საბაჟო გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს.

მუხლი 270 ’. დაბეგერის ობიექტი

საბაჟო გადასახადით დაბეგერის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 270 ’’. გადასახადის განაკვეთები

1. საბაჟო გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

# საკანონმდებლო სიხსნე



#	კოდი	დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი (შინაური ქათამი Gallus domesticus), ოხვი, ბაგი, ინდაური და ციციარი
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაციელებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0203 11	-- დაუფუძვლებელი ნაკლავი და დაუფუძვლებელი ნაკლავი
5	0203 12	-- ბარკლები, ბეჭები და შათი გადანარჩები, ძველებამოყვლედი
6	0203 19	-- დანარჩენი
7	0203 21	-- დაუფუძვლებელი ნაკლავი და დაუფუძვლებელი ნაკლავი
8	0203 29	-- დანარჩენი
9	0204	ხორცი ცხენისა ან თხისა, ახალი, გაყიებული ან გაყინული
10	0205 00	ხორცი ცხენის, ვირის, ჯორისა ან ჯორცხენის, ახალი, გაყიებული ან გაყინული
11	0206	საკეები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორისა ან ჯორცხენის, ახალი, გაყიებული ან გაყინული
12	0207	ხორცი და საკეები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციამი შითიებელი შინაური ფრინველისა, ახალი, გაყიებული ან გაყინული
13	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკეები სუბპროდუქტები, ახალი, გაყიებული ან გაყინული
14	0209 00	ღორის ქონი, მკლე ხორცისაგან გამოცალკეებული და შინაური ფრინველის ქონი, გადუღობილი ან რაიმე სხვა ხერხით ამოღებელი, ახალი, გაყიებული, გაყინული, დამარილებული, მარილწყალში, გამშმარი ან შებოლილი
15	0210	ხორცი და ხორცის საკეები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამშმარი ან შებოლილი; საკეები უქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტისაგან
16	0401 10 100 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17	0401 20 110 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
18	0401 20 910 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
19	0401 30 110 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
20	0401 30 310 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
21	0401 30 910 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
22	0402 10 110 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 10 910 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 21 110 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 21 910 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 29 150 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 29 910 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 91 110 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29	0402 91 310 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა

# საკანონმდებლო სიასლე

30	0402 91 510 00	_____ პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
31	0402 91 910 00	_____ პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
32	0402 99 110 00	_____ პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
33	0402 99 310 00	_____ პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
34	0402 99 910 00	_____ პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
35	0403	დო, აპრილი რძე და ნაღები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედელებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრისა ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან შით გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან შით გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკოს დამატებით ან შით გარეშე
36	0406 10	- ახალი ყველი (მოუმწიფებელი ან დაუვარგებელი), შრაგ-ალუმინური ყველის ჩათვლით, და ხაჭო
37	0406 40	- ცისფერი ყველი
38	0407 00	ფრინველის კეერცი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
39	0408	ფრინველის კეერცი უნაჭუჭოდ და კეერცის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მღვდარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან შით გარეშე:
40	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
41	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
42	0702 00 000 00	ქოშიდორი, ახალი ან გაციეებული
43	0703	ხახვი თაფიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნარი ბოსტნეული, ახალი ან გაციეებული:
44	0704	თაბეხეული კომბოსო, ყვავილოვანი კომბოსო, კოლრაბი, კევერა კომბოსო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაციეებული
45	0705	სალათა - ღორის ქადა (Lactuca Sativa) და ვარდკაჭაჭა (Cichorium spp.), ახალი ან გაციეებული
46	0706	სტაფილი, თაღგამი, სუფრის ჭარხალი, თხისწვერა, ფესვერა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაციეებული
47	0707 00	კიკრი და კორნიშონები, ახალი ან გაციეებული
48	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაჩურჩავი, ახალი ან გაციეებული
49	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაციეებული

# საკონსერვო სიხდა

საქართველოს  
განათლების

50	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
51	0711	ბოსტნეული, დაკონსერვებული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარლწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უკარგისი
52	0712 20 000 00	_ თაიიანი ხახვი
53	0712 30 000 00	_ _ გარიყუს გვარის სოკოები
54	0712 32 000 00	_ _ ხის სოკო, ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
55	0712 33 000 00	_ _ საფუარი სოკოები (Tremella spp.)
56	0712 39 000 00	_ _ დანარჩენი
57	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჭრული, საითესლე ქერქისაგან გაყვლილი ან გაუყვლილი, დამტვერული ან დამტვერეველი
58	0714	მანოკი, მარანთა, სალუკი, მიწის მსხალი ანუ გოქინამბური, ტყილი კარტოფლი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვენაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაყვებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საფოს ჯალმის ნაყოფის გული
59	0801	ქოქოსის კაკალი, ბრაზილიური და კემუ, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაყვლილი ან ნაჭუჭგაუყვლილი, კანით ან კანის გარეშე
60	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაყვლილი ან ნაჭუჭგაუყვლილი, კანით ან კანის გარეშე
61	0803 00	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
62	0804 10 000 00	ფინიკი
63	0804 20	ლელი
64	0804 30 000 00	ანანასი
65	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
66	0806	ყურბენი, ახალი ან ხმელი
67	0807	ნესეი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
68	0808	ეპშლი, მსხალი და კომში, ახალი
69	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, აგამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიაივი და ლოღნოშო, ახალი
70	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
71	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დამუშავებული, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატებული ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
72	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარლწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უკარგისი

# სასაქონლო სიახლა



73	0813	ხლი ხმელი, 0801-0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარეუები
74	0814 00 000 00	ციტრუსების ნაყოფების კანი ან ნესების ქერქი (სამათროს ქერქის ჩათვლით), ახალი, გაყინული, ხმელი ან ხანმოკლე შენახვისათვის დაკონსერვებული მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში
75	0902 10 000 00	_ ჩაი მწვანე (არაფერმენტირებული), პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
76	0902 30 000 00	_ ჩაი შავი (ფერმენტირებული) ან ნაწილობრივ ფერმენტირებული, პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 3 კგ-ისა
77	1005	სიმინდი
78	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
79	1102	ღანარჩენი მარცელეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
80	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვაი ფქვილი და მარცელოვანების მარცელის გრანულები
81	1104	მარცელოვანების მარცვალი, დამუშავებული სხვა ხერხით (მაგალითად, დარჩურული, გაბრტყელებული, გადამუშავებული ფანგელებად, დაგეხილი, დარომილი ან დამსხვრეული), გარდა 1006 სასაქონლო პოზიციის ბრინჯისა; მარცელოვანების მარცელის ჩანასახები, მთლიანი, გაბრტყელებული, ფანგელების სახით ან დაფქული
82	1105	კარგოფლის წმინდად და უხეშად ნაფქვაი ფქვილი, ფხვნილი, ფანგელები, გრანულები:
83	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვაი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
84	1108	სახამებელი, იხვლინი
85	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან გენიანი
86	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები სორის, სორის სუპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
87	1602 10 00	_ პომოგენიზებული მზა პროდუქტები
88	1602 20	_ ნებისმიერი ცხოველის ლეიძლისაგან
89	1602 31	_ ინდაურის
90	1602 32	_ შინაური ქათმის (Gallus domesticus):
91	1602 39	_ ღანარჩენი:
92	1602 41	_ ბარკლები და მათი გადანაჭრები
93	1602 42	_ ბუკის ნაწილი და მისი გადანაჭრები
94	1602 49	_ ღანარჩენი, ნარეუების ჩათვლით



# საკანონმდებლო სიხსნა

93	1602 42	__ ბეჰის ნაწილი და ზისი გადანაწილება
94	1602 49	__ დანარჩენი, ნარეუების ჩათვლით
95	1602 50	__ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
96	1701 12	__ ჭარხლის შაქარი
97	1701 91 000 00	__ საგემოვნო-არომატული ან საღებავი დანამატებით
98	1701 99	__ დანარჩენი
99	1702 19 000 00	__ დანარჩენი
100	1702 20	__ შაქარი და ნეკერჩხლის სიროფი
101	1702 30	__ გლუკოზა და გლუკომის სიროფი, ფრუქტომის შემცველობის გარეშე ან ფრუქტომის შემცველობით 20 მას. %-ზე ნაკლები, მშრალ მდგომარეობაში
102	1702 40	__ გლუკოზა და გლუკომის სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტომის შემცველობით არანაკლებ 20 მას. %-ისა, მაგრამ 50 მას. %-ზე ნაკლები, ინვერტული შაქრის გარდა
103	1702 50 000 00	__ ქიმიურად სუფთა ფრუქტოზა
104	1702 60	__ ფრუქტოზა დანარჩენი და ფრუქტომის სიროფი, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტომის შემცველობით 50 მას. %-ზე მეტი, ინვერტული შაქრის გარდა
105	1702 90	__ დანარჩენი, ინვერტული შაქრისა და სხვა შაქრისა და შაქრის სიროფების ჩათვლით, მშრალ მდგომარეობაში ფრუქტომის შემცველობით 50 მას. %
106	1703	მელასა, შაქრის ამორები ან რაფინირების შედეგად მიღებული:
107	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკაოს
108	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცელის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომული საკონდიტრო ნაწარმი
109	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ეარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარმეაგას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
110	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმეაგას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
110	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმეაგას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
111	2003	სოკო და გრიუფელი, ძმრის ან ძმარმეაგას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
112	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრისა ან ძმარმეაგას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა

# საკანონმდებლო სიასლა

113	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმკეფის დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაუყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
114	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაკლენთილი, მოსარკული ან დამაქრული)
115	2007	ჯემი, ხილის ძეღე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატებოვლი ნივთიერებების დამატებით
116	2008 19	-- დანარჩენი, ნარეუების ჩათვლით
117	2008 20	-- ანანასი
118	2008 30	-- ციტრუსები
119	2008 40	-- მსხალი
120	2008 50	-- გარგარი
121	2008 60	-- ალუბალი და ბალი
122	2008 70	-- ატამი, ნექტარინების ჩათვლით
123	2008 80	-- მარწყვი და ხენდრო
124	2008 91 000 00	-- ქაღალის გული
125	2008 92	-- ნარეუები
126	2008 99	-- დანარჩენი
127	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატებოვლი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
128	2201 10 190 09	---- დანარჩენი
129	2201 10 900 00	-- დანარჩენი
130	2201 90 000 09	---- დანარჩენი
131	2201 90 000 99	-- დანარჩენი
132	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატებოვლი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა
133	2203 00	ალბოს ლუდი
134	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები

# საკანონმდებლო სიხსნა

135	25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
136	6801 00 000 00	ძელურა, ბორღიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქალისა)
137	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქალისა) ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუტეზე ან ფუტის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქალის ჩათვლით) გრანულეზი, ნაფხევი და ფხენილი, ხელოვნურად შეღებილი
138	6803 00	ფიქალი დამუშავებული და ფიქალის ან აგლომერირებული ფიქალის ნაწარმი
139	6804	ლოლაბები, სალსი ქვები, სახევი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების ლეგალებთან აწყობილი ან ამ ლეგალების გარეშე
140	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხენილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ ან დაუმუშავებულ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოს ან სხვა ფუტეზე
141	6806	წილის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროლექტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათთანამშექმელი მინერალური მასალების ნარეკები და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69 ჯგუფის ნაწარმისა
142	6807	ნაწარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად ნეთობის ბიტუმის ან ქვანახშირის სქელფისისაგან)

# საკანონმდებლო სიხსნა

საქართველოს  
პარლამენტი

3. ამ ნაწილში აღნიშნული საქონელი იბეგრება შემდეგი საბაჟო გადასახადის განაკვეთით (euro/‰vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტალიტრზე (100 ლიტრზე) გადასახადელი საბაჟო გადასახადის თანხა შეადგენს საბაჟო გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემული საქონლის აღკომლის პროცენტული შემცველობის მჩვენებელზე):

#	კოდი	დასახელება	საბაჟო გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	- ღვინოები ცქრიალა	1,5 ეურო/ლიტ
2	2204 21	-- 2 ლ-იან ან 2 ლ-ზე ნაკლები გივალობის ჭურჭელში.	0,5 ეურო/ლიტ
3	2204 29	-- დანარჩენი	0,2 ეურო/ლიტ
4	2204 30	- ყურძნის გკბილი, დანარჩენი	0,2 ეურო/ლიტ
5	2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მეენარული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით	0,5 ეურო/ლიტ
6	2206 00	სხვა დაღუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევი დაღუღებული სასმელებისაგან და დაღუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	0,5 ეურო/ლიტ
7	2207	ეთილის სპირტი არაღენატურებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. % ან 80 მოც. %-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა ღენატურებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 ეურო/ლიტ
8	2208 20	- სპირტის ნაყენები, შიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოსხის) შედეგად	5 ეურო/ლიტ
9	2208 30	- ვისკი	5 ეურო/‰ვოლ/HL
10	2208 40	- რომი და გაფია	5 ეურო/‰ვოლ/HL
11	2208 50	- ჯინი და ღვინის ნაყენი	5 ეურო/‰ვოლ/HL
12	2208 60	- არაყი	5 ეურო/‰ვოლ/HL
13	2208 70	- ლიქიორები	5 ეურო/‰ვოლ/HL
14	2208 90	- დანარჩენი	5 ეურო/‰ვოლ/HL
15	2209 00	მმარი და მისი შემეველები, შიღებული მმარმეავასაგან	0,4 ეურო/ლიტ

4. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმით შემოტანილი საქონელი დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება საბაჟო გადასახადის იმ თანხის 3%-ით, რომელიც გადაიხდებიან და საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, საანგარიშო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო ბოლო გადახდა - საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს.



5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს საბაჟო გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდებიან საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

6. 2009 წლის 1 იანვრამდე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტისას საბაჟო გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე პლუს საბაჟო გადასახადის თანხის 5% ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

**მუხლი 270<sup>4</sup>. გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი**

1. საბაჟო გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით (გარდა ამ კოდექსის 2703 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო გადახდა - საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე სხვა საბაჟო გადასახდებთან ერთად.

2. საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

**მუხლი 270<sup>5</sup>. გადასახადისაგან გათავისუფლება**

საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა) საქონლის ექსპორტი;

ბ) საქონლის რეექსპორტი; საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისას გადაიხდებიან საბაჟო გადასახადი ან რეექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ დაიტოვება საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული გარანტია, ხოლო საქართველოს ტერიტორიიდან ამ საქონლის გატანისას გადამხდელს უბრუნდება საბაჟო გადასახადის გადახდილი თანხა ან უქმდება გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი საქონელი;

დ) უცხოური საქონელი საბაჟო საწყობებში მოთავსებისას; საბაჟო საწყობებიდან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იგი იბეჭდება დადგენილი წესით, ხოლო სხვა საბაჟო რეჟიმის პირობებში - სათანადო რეჟიმის შესაბამისად;

ე) საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე პუმანიტარული დახმარების მიზნით;

ვ) საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტების შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განსაზღვრული წესით;

ზ) საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტებით, რომლებიც არანაკლებ 25%-ის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად;

თ) საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის, უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ქონების იმპორტი, აგრეთვე "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით)

მიწა-წყალი, ხმლიან მტერს გაუუქელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევიინახეთ, სახსენებელი არ ამოვაკეთებინეთ... შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსულა კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს და ჩვენს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან". ასევე, შეუძლებელია არ გაიზიარო და გულთან არ მიიტანო ვოლტერის ბრძნული შეგონება: "ქვეყანას, რომელიც მეცნიერების განვითარებაზე არ ზრუნავს, მომავალი არა აქვს".

მაგრამ ყოველივე ეს ხომ არახალია. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალი ისაა, რომ ცოდნა გადაიქცა ძალად, რომელსაც ძალუძს სამყაროს ძირეულად გარდამქმნა. სპეციფიკურად დასკვნით, უმნიშვნელოვანეს წარმოებრივ რესურსად ცოდნის გადაქცევა რადიკალურად ცვლის საზოგადოების ევოლუციის პარადიგმას, რადგან იგი ეკონომიკურ ზრდას სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულს ხდის ამა თუ იმ ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე, ძირითად კაპიტალზე, წარმოების მუშაკთა რიცხოვნობასა და სხვა ექსტენსიურ ფაქტორებზე.

ის ფაქტი, რომ ასეთი ძირეული ძვრები დამახასიათებელია ადამიანთა საზოგადოების განვითარებისთვის არა საერთოდ, მის ყველა სტადიაზე, არამედ მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე - ახალი ეკონომიკის პრობებში, დასტურდება ასეთი ფაქტობრივი მონაცემებითაც: კაცობრიობის ცოდნის მარაგის 90% შექმნილია უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, ასევე, მეცნიერთა და ინჟინერთა საერთო რიცხოვნობის 90% ჩვენი თანამედროვეა.

თუმცა არც იმის დაუწყება შეიძლება, რომ ახალი ცოდნის წყაროა საზოგადოებაში მანამდე დაგროვილი ცოდნა. მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი ისაა კი ნიუტონი აღნიშნავდა: "მე დეკარტეზე უფრო შორს ვიხედე, მაგრამ იმითმ კი არა, რომ მასზე უფრო ჭკვიანი ვარ, არამედ იმითმ. რომ გიგანტის მხრებზე ვდგავარ";

- არსებითად იცვლება წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწრაფად

ინერგება და მასობრივ ხასიათს იღებს წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია - თვითრეგულირების პრინციპებზე დაყრდნობით მანქანათა სისტემა, რომელიც გულისხმობს რობოტების გამოყენების კვალობაზე წარმოების არსებითად "უადამიანებო" ციკლს და წარმოების, ისე როგორც საქმიანობის ნებისმიერ სხვა სფეროში, ინფორმაციის მიღებას, გადაამუშავებას, შენახვას, გადაცემასა და გამოყენებას ძირითადად ინტერნეტის მეშვეობით.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების სულ უფრო გადამწყვეტი ძალა ხდება ინტერნეტი და გლობალიზაციის საფუძველზე წარმოქმნილი მისი უკიდვანო შესაძლებლობანი. ე.ი. მასობრივი კომპიუტერიზაციისა და ინფორმაციზაციის ბაზაზე ყალიბდება ე.წ. "ინტერნეტ-ეკონომიკა", რომელშიც ინფორმაცია წარმოგიდგება შრომის მწარმოებლურობის ამაღლებისა და წარმოების ზრდის გადამწყვეტ ფაქტორად;

- არსებითად იცვლება და წარმოებაში ინტენსიურად ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე შემუშავებული (ტრადიციული ისაგან რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრებით რადიკალურად განსხვავებული) ტექნოლოგიები. მათთვის დამახასიათებელია: მოწყობილობის მაღალი ტექნიკური საქსპლუატაციო თვისებები; პროდუქციის ერთეულზე მატერიალური რესურსების მინიმალური ოდენობით ხარჯვა; ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოება; დიზაინის სრულყოფა და ხარისხის გაუმჯობესება; წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლება; გარემოზე მანერ ზემოქმედების შემცირება და ა.შ.;

ეკონომიკური ზრდის უპირატესად ექსტენსიურიდან უპირატესად ინტენსიურ ტიპზე გადასვლა. მხედველობაში მაქვს შექმნილი საზოგადოებრივი (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) დოკლათის გადიდება არა წარმოების ფაქტორთა (ნედლეულის, მასალის, შრომის საშუალებების, სამუშაო ძალის რიცხოვნობის და ა.შ.) გაზრდის, არამედ იმავე ოდენობის რესურსების (წარმოების ფაქტორთა) უფრო

ინტენსიური, რაციონალური, მაღალეფექტიანი გამოყენების ხარჯზე.

შრომის ინტენსივობაში იგულისხმება მისი დაძაბვა, ანუ წარმოების მუშაკთა მიერ ფიზიკური და გონებრივი ენერგიის ხარჯვა დროის ერთეულში. ყოველ სამუშაო საათში რაც უფრო მეტი ენერგია დაიხარჯება, მით უფრო მაღალია შრომის ინტენსივობა, მაგრამ მისი უსასრულოდ გაზრდა და მეტისმეტად დაძაბვა დაუშვებელია. შრომის ისეთი ინტენსიფიკაციაა დასაშვები და გამართლებული, რომელიც შესაძლებელს ხდის მუშაობის შემდეგ დასვენებით წარმოების მუშაკის შრომისუნარიანობის სრულად აღდგენას. შრომის და წარმოების ასეთი ინტენსიფიკაცია, მიიღწევა რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების მიზანდასახული გამოყენებით, არა მარტო არ მოქმედებს უარყოფითად წარმოების მუშაკთა თავისუფალ, ყოველ მხრივ განვითარებაზე, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას;

- როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მსოფლიო ბაზარზე საქონლურ ურთიერთობათა სისტემაში სულ უფრო ცენტრალურ ადგილს იკავებს ცოდნა როგორც სპეციფიკური სახეობის საქონელი, თანაც, საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებს შორის კონკურენციულ ბრძოლაში ახალ შინაარსს იძენს დროის ფაქტორი, რამდენადაც ამ ბრძოლაში, როგორც წესს, იმარჯვებს ის, ვინც სხვაზე ადრე და საფუძვლიანად დაეუფლება საჭირო ინფორმაციას და დროულად გაითვალისწინებს მას თავის საქმიანობაში.

ამრიგად, ცოდნა, რომელსაც თავისუფლად ყიდნიან და ყიდულობენ ბაზარზე, არა მარტო წინანდებურად რჩება, არამედ უფრო გამძლიერებული სახით წარმოგვიდგება კონკურენციული უპირატესობის ძირითად წყაროდ.

ახალი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა, აგრეთვე, არსებითი ცვლილებები კონკურენციული ბრძოლის ობიექტში (საგანში). თუ ადრინდელ ეპოქებში კონკურენცია, უპირველეს ყოვლისა და ძირითადად, ნედლეულის წყაროებისა და ტრადიციული საქონლის გასაღების ბაზრებისთვის მიმდინარეობდა, დღეისთვის

სიმძიმის ცენტრმა ცოდნისკენ გადაინაცვლა. ამჟამად მეცნიერებატექვადი პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე აშშ-ის ხვედრითი წილი დაახლოებით 40%-ს შეადგენს, იაპონიის - 30%, გერმანიის - 16%, ხოლო რუსეთისა - 0,3%-ს არ აღემატება. ამ მხრივ გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ძალთა თანაფარდობის გადასანაწილებლად;

ყალიბდება და დამკარებელი ტემპებით ვითარდება ეკონომიკის ინოვაციური სექტორი. უკვე XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის საქმიანობის ინოვაციურ სახეობათა ხვედრითმა წილმა აშშ-ის მთლიან ეროვნულ პროდუქტში 50%-ს მიაღწია. იუნესკოს მონაცემებით, მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით 50% პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს ინოვაციური პროდუქციის წარმოებასა და გავრცელებაში;

- სწრაფად და განუხრელად იზრდება დასაქმებულთა განათლების დონე, რაც იმით აიხსნება, რომ ინოვაციური ეკონომიკა წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური და ყოველმხრივ განვითარებული კადრების გარეშე.

რადიკალურ ცვლილებებს განიცდის წარმოების მუშაკთა პროფესიული სტრუქტურაც. თუ ინდუსტრიული სტადის გარიჟრაჟზე მატერიალური წარმოების სფეროში მთავარ ფიგურას იხეიწერი და მუშა-მენარზე წარმოადგენდნენ, ამჟამად ამ როლს კონსტრუქტორები, ოპერატორები, სისტემური ანალიტიკოსები, ტექნოლოგები და პროგრამისტები ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ 2005 წლისთვის აშშ-ში მუშის 150 პროფესიიდან სულ 15-მდე დარჩა. სამაგიეროდ, რიცხოვნობა ისეთი წარმოებრივი პროფესიებისა, როგორცაა ეგმ-ის პროგრამისტები, სისტემური ანალიტიკოსები და სხვ. ე.წ. "თეთრსაყელიანები", 1,5-ჯერ გაიზარდა;

მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, რაც ძირითადად მაღალინტელექტუალურ მუშაკთა ხვედრითი წილის ამაღლებაში პოულობს

გ) მე-14 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“14. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტითა და მე-6 ნაწილით განსაზღვრულ დაბეგერის ობიექტებზე ფიზიკურ პირს უფლება აქვს, არ წარადგინოს დეკლარაცია, თუ:

ა) ამ კოდექსის 276-ე მუხლის გათვალისწინებით მას საგადასახადო პერიოდის მიხედვით საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა;

ბ) საანგარიშო წლის წინა პერიოდის მიხედვით ქონების გადასახადის დეკლარაცია წარმოდგენილია ან დარიცხულია საგადასახადო ორგანოს მიერ და მომდევნო საანგარიშო პერიოდის მიხედვით არ ხდება დაბეგერის ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილება. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელმა განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება, ხოლო საგადასახადო ორგანომ გადამხდელს წარუდგინა “საგადასახადო მოთხოვნა”, რომლის მიხედვითაც საგადასახადო ვალდებულება შესაბამისი პერიოდის მიხედვით ბოლო დეკლარირებულის (დარიცხულის) ტოლია. ამასთანავე, თუ დეკლარირება შემდგომში განხორციელდება აღნიშნული პერიოდების მიხედვით, იგი ჩაითვლება შესწორებულ დეკლარაციად.”.

19. X 1 თავი ამოღებულ იქნეს.

20. 281-ე მუხლის:

ა) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“6. 2008 წლის 1 იანვრამდე პირებზე, რომლებიც კურნალ-გაზეთების გაერცვლებას ახორციელებენ სპეციალიზებული ჯიხურებით, რომლებშიც იყიდება მხოლოდ კურნალები ან/და გაზეთები, არ ერცვლება ამ კოდექსის 97 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებები.”;

ბ) მე-15 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-16 ნაწილი:

“16. 2007 წელს ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგერის ობიექტის მიხედვით:

ა) თუ ფიზიკურმა პირმა არ წარადგინა ამ კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დეკლარაცია, მაშინ საგადასახადო ორგანოები საგადასახადო ვალდებულებებს განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურების მიერ ამავე კოდექსის 274-ე მუხლის მე-10 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილი მონაცემების საფუძველზე;

ბ) ფიზიკურ პირებს ქონების გადასახადის დეკლარაციის წარუდგენლობისათვის ამ კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ ეკისრებათ.”.

მუხლი 2. ეს კანონი, გარდა პირველი მუხლის მე-18 ნაწილის “ა” ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-18 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის 29 დეკემბერი.  
4246-რს



## საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ  
მიღებულია - 29.12.2006 წ. ძალაშია - 01.01.2007 წ.  
01.01.2007 წ. - მდგომარეობით

ონისიძიებები - განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადით;

ბ) მე-8 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) იმპორტის გადასახადელი - საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი ან/და დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან დაკავშირებით;"

2. IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქართველოს საბაჟო ტარიფები და საქონლის კლასიფიკაცია".

3. 26-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 ნაწილები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საქართველოს საბაჟო ტარიფი არის მონაცემთა სისტემატიზებული ერთობლიობა, რომელიც შედგება:

ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურისაგან (შემდგომში - სესესენ);

ბ) საბაჟო გადასახადის განაკვეთებისაგან ან შეღავათებისაგან, რომლებიც გამოიყენება სესესენ-ში მოცემული საქონლის მიმართ;

გ) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შეღავათებისაგან (პრეფერენციებისაგან);

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით ცალკეული ქვეყნებისათვის, ქვეყნების ჯგუფებისათვის ან ტერიტორიებისათვის ცალმხრივად დადგენილი საბაჟო გადასახადის შეღავათებისაგან.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის "გ" და "დ" ქვეპუნქტებში აღნიშნული შეღავათები გამოიყენება საბაჟო გადასახადის ჩვეულებრივი განაკვეთების ნაცვლად, თუ საქონელი აკმაყოფილებს ამ შეღავათებით სარგებლობისათვის დადგენილ პირობებს".

4. 27-ე და 28-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 27. საქონლის კლასიფიკაცია

1. საქონლის კლასიფიკაციისას დეკლარანტი საქონლის კოდს განსაზღვრავს სესესენის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მიმღები, საფოსტო გზავნილის დეკლარაციასთან ერთად, წარადგენს საბაჟო დეკლარაციას".

9. 134-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) მისი გატანა გამოიწვევს მასზე გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას;"

2. თუ საბაჟო ორგანო არ ეთანხმება დეკლარირებული საქონლის კოდს, იგი ამის შესახებ აცნობებს დეკლარანტს და საქონლის კოდი განისაზღვრება სესსენის საქონლის კლასიფიკაციის ზოგადი წესებით.

3. საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი ღონისძიებები, რომლებიც მოქმედებს სხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით, გამოყენებული უნდა იქნეს საქონლის კლასიფიკაციის შესაბამისად.

4. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 28. საბაჟო მოსაკრებლებისა და საბაჟო გადასახადის განაკვეთები

საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები, მათი შემოღებისა და ადმინისტრირების წესები რეგულირდება "საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო საბაჟო გადასახადის განაკვეთები, მათი შემოღებისა და ადმინისტრირების წესები - საქართველოს საგადასახადო კოდექსით."

5. 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) საბაჟო გადასახადის გამოყენებისათვის, გარდა ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" და "დ" ქვეპუნქტებში მითითებული შედეგებით სარგებლობისათვის;"

6. 31-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ითვალისწინებს დეკლარირების დღისათვის საქონლის შეფასებას საბაჟო გადასახადისა და სხვა სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სტატიის ღონისძიებების გამოყენების მიზნებისათვის."

7. 90-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას მგზავრი, რომელსაც აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270<sup>5</sup> მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი, ვალდებულია წარადგინოს მგზავრის საბაჟო დეკლარაცია, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. დანიშნულების საბაჟო ორგანოში დაგვიანებით წარდგენილი პირადი ნივთები (ბარგი) საქართველოში შემოტანისას განიხილება, როგორც მგზავართან ერთად გადაადგილებული პირადი ნივთები (ბარგი).

2. პირადი ნივთები არ ექვემდებარება დეკლარირებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შემოტანა-გატანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია ან/და მათი რაოდენობა და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 2705 მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას."

8. 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. თუ უცხო ქვეყნიდან მიღებულ საფოსტო გზავნილში საქონლის რაოდენობა და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270<sup>5</sup> მუხლის "ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას, გზავნილის

10. 170-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბაჟო გადასახდელებისაგან საქონლის გათავისუფლების შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და "საბაჟო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით."

11. 174-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“8. სხვა ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო კურიერებს უფლება აქვთ საქართველოში შემოიტანონ და საქართველოდან გაიტანონ პირადი სარგებლობისათვის გათვალისწინებული საქონელი ნაცვალგების პრინციპით, ორ ქვეყანას შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, საბაჟო კონტროლის გარეშე, საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან გათავისუფლებით.”.

12. 254-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისათვის არ გამოიყენება ამ კოდექსის მე-7 მუხლის 30-ე ნაწილის “დ”-“ვ” ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბაჟო რეჟიმები და საქონლის გადატანა თავისუფალ ზონაში ან თავისუფალ საწყობში. ამასთანავე, ამ საქონლის რეექსპორტი დასაშვებია მხოლოდ 1 თვით, ხოლო საბაჟო საწყობის რეჟიმში მოქცევისას საქონელი უნდა განთავსდეს მხოლოდ დახურული ტიპის საბაჟო საწყობში არა უმეტეს 3 თვისა.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი  
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,  
2006 წლის 29 დეკემბერი.  
4247-რს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 1123

ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

მიღებულია - 13.09.2006 წ. ძალაშია - 02.10.2006 წ. 07.01.2007 წ. - მდგომარეობით

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, 217-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის აღსრულების მიზნით, ებრძანება:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:

1. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმა (დანართი №1).

2. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქცია (დანართი №2).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის №898 ბრძანება (სსმ III, 2004წ., №156, მუხ. 160) "ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ა. ალექსიშვილი

გამოქვეყნებულია №128 მაცნეში

18.09.2006

ნაწილი III

დანართი № 1 - ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმა

დანართი № 2 - ინსტრუქცია ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ

# საკანონმდებლო სიხსლვა

შანართი №1

ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმა

ძღუფა - 13.09.2006 წ

ძღუფა - 02.10.2006 წ

08.01.2007 წ - მფრუფუფ

1 ნაწილი

საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

გაღმზღელის პირადი ნომერი

ეკონომიკური საქმანობის კოდი

(NACE)

წარუღინება

(საგაღსახაღო ორგანოს დასახეღება)

საქართვეღოს საწარმო (ორგანიზაცია)

ინდივიდუალური საწარმო

უცხოური საწარმოს (ორგანიზაციის)

განყოფიღება

(საქირო ადნიშნა X-ით)

(გაღმზღელის სრული დასახეღება / ინდიწარმის გვარი, სახელი)

მისამართი: ქალაქი / რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო გეღუფონი

განგარიშების ფორმა შეღენიღა \_\_\_\_\_ ფურცღღე თინდართული ღოკეღქნეღბი \_\_\_\_\_



## II ნაწილი

დასახელება	თვე (ლარი)	წლის დასაწყისიდან (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ფულადი ფორმით ხელფასის (სარგებლის) სახით გაყვანილი ანაზღაურება, პენსია, სტიპენდია, დახმარება და სხვა;	1		
სარგებელი არაფულადი ფორმით (დაქირავებით მომუშავეზე);	2		
გაყვანილი ანაზღაურება, რომელზეც ვრცელდება საგადასახადო შედეგით;	3		
ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის ვადამდელის მოწმობა, გაყვანილი მომსახურებისათვის გაყვანილი საფასური ან სარგებელი, გარდა მე-6-7 სტრიქონებში ასახულისა;	4		
სათამაშო ბიზნესის მომწყობთა მიერ ფიზიკურ პირებზე მოგების სახით განაკვეთები;	5		
პირებზე გაყვანილი დივიდენდები და პროცენტები, გარდა მე-7 სტრიქონში ასახულისა;	6		
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი თანხა, სულ:	7		
მათ შორის თანხა, 10%-ანი განაკვეთით რომელიც იბეგრება.	8		
4%-ანი განაკვეთით	9		
	10		
დასაკვეთელი საშემოსავლო გადასახადი (სტრ.1 + სტრ.2-სტრ.3+სტრ.4+სტრ.5) $X12\% + \text{სტრ.6} X10\% + \text{სტრ.8} X10\% + \text{სტრ.9} X4\% + \text{სტრ.10} X$ განსხვავებულ განაკვეთზე;	11		
საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე მომსახურებისათვის გაყვანილი ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან;	12		
ფიზიკურ პირებზე გაყვანილი დახმარება, სარგებელი (ქველმოქმედება), მათ შორის არაფულადი ფორმით;	13		

## III ნაწილი

საანგარიშო თვეში ხელფასისა და სხვა სახით გაყვანილი თანხების შესახებ

ინფორმაცია

# საკანონმდებლო სიხსნე

თანხის გაცემის თარიღი	გაცემული თანხის სახე (ხელფასი, დივიდენდი, პროცენტი და სხვა)	თანხა (ლარი)	დასაკვეთელი სამუშაოსათვის გადასახადები (ლარი)
1	2	3	4

სულ: \_\_\_\_\_

### IV ნაწილი

საანგარიშო თვეში ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადახდელის მოწმობა, მომსახურების ღირებულების ანაზღაურების და სხვა განაცემების შესახებ ინფორმაცია

#	გვარი, სახელი, მამის სახელი	მისამართი	პირადობის მოწმობის ნომერი	მომსახურების სახე	საანგარიშო თვეში გაცემული ანაზღაურება
1	2	3	4	5	6
სულ	X	X	X	X	

ცნობისათვის:

საანგარიშო თვეში გამოშვებული პროდუქციის (მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ღირებულება (ლარი)	1	
პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც საანგარიშო თვეში ხელფასის სახით (სტრ. 1) გაცემულია ანაზღაურება (კაცი)	2	
გადასახადის გადახდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც მომსახურების გაწევისათვის (სტრ. 2) გაცემულია ანაზღაურება	3	
მაქსიმალური ხელფასის ოდენობა (ლარი)	4	
მინიმალური ხელფასის ოდენობა (ლარი)	5	

გაანგარიშების ფორმაში მოცემული მონაცემების უცუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

გადახდელი

(სახელი გვარი)

(ხელმოწერა)

(თარიღი)

### V ნაწილი

აღნიშვნა გაანგარიშების ფორმის წარმოდგენის შესახებ:  
(იესება საგადასახადო ორგანოს მიერ)

განგარიშების ფორმა წარმოდგენილია ფოსტით \_\_\_\_\_ პირადად \_\_\_\_\_

მოცემული გაანგარიშების ფორმა შედგენილია \_\_\_\_\_ ფურცელზე

თანდართული დოკუმენტები \_\_\_\_\_ გაერღზე

წარმოდგენის თარიღი \_\_\_\_\_

რეგისტრაციის ნომერი \_\_\_\_\_

ინსტრუქცია ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსაველი გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ

მიღებულია - 13.09.2006 წ

კლასშია - 02.10.2006 წ

07.01.2007 წ - მფლობერობით

მუხლი № 1 - ზოგადი წესი

გადამხდელს (აფერტს) რომელსაც საგადასახადო კოდექსის 217-ე (7), 218-ე (4) მუხლების შესაბამისად გადახდის წყროსთან ვედლებს გადასახდების და გადასახდლების დაკლება ამ გაანგარიშების ფორმის წარუდგენს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე ამასთან თუ პირი არ იყენებს დაჭრავეებით შრომის და არა აქვს განაცემები მიღებულ მომსახურებაზე მას არ წარმოეშობა გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება

მუხლი № 2 - გაანგარიშების ფორმის I ნაწილის შევსების წესი

სატელელო გვერდის პირველი ნაწილის შესაბამის უფრებში და სტრიქონებზე ჩაიწერება:

- ა) უფრებში "საიდენტიფიკაციო ნომერი" - გადამხდელის საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი
- ბ) უფრებში "გადამხდელის პირადი ნომერი" - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი
- გ) უფრებში "კომონიკური საქმიანობის კოდი" - იმ საქმიანობის კოდი, რომელ საქმიანობასაც იგი თვლის ძირითად საქმიანობად
- დ) უფრებში "გაანგარიშების სახე" - წილადურ პირველ უფრებში - 1, წილადურ მეორე უფრებში - კვარტლის ნომერი თუ გაანგარიშება გასული საგადასახადო პერიოდისა და წარმოდგენილია დასუსტების (კორექტირების) მიზნით, პირველ წილადურ უფრებში ერთის ნაცვლად ჩაიწერება 2, ხოლო მეორე წილადურ უფრებში - თვის ნომერი

მაგალითად გადამხდელმა ნომერში წარმოადგინა სექტემბრის თვის დასუსტებული გაანგარიშება ამ პირობებში გაანგარიშების ფორმის წილადურ პირველ უფრებში ჩაიწერება 2, მეორე უფრებში - 09, სადაც 2 ნიშნავს, რომ გაანგარიშება არის არა პირველი, არამედ დასუსტებული, ხოლო 09 ნიშნავს, რომ აღნიშნული გაანგარიშებით ხორციელდება სექტემბრის თვის მონაცემთა შესწორება

- ე) უფრებში "საანგარიშო თვის ნომერი" - იმ თვის რვათი ნომერი (01-დან 12-მდე), რომლის გაანგარიშებასაც გადამხდელი წარმოადგენს
- ვ) სტრიქონზე "საგადასახადო ორგანოს დასახელება" - ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება რომელსაც წარუდგენს გაანგარიშების ფორმა
- ზ) საფორმა უფრებში "საქართველოს საწარმო (ორგანიზაცია)", "უცხოური საწარმო", "ინდუსტრიული", "სხვა საწარმო - აღნიშვნა "X"
- თ) სტრიქონზე "გადამხდელის სრული დასახელება" - მიუთითება საწარმოს სრული სახელწოდება/ინდუსტრიის სახელი და გვარი სრულად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად
- ი) სტრიქონზე "მისამართი" - მიუთითება ქალაქი/ რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო ტელეფონი

მუხლი № 3 - გაანგარიშების ფორმის II ნაწილის შევსების წესი

1 საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე7 ნაწილით და 218-ე მუხლის მე4 ნაწილით განსაზღვრული გადამხდელთა ვალდებულებები (ფიზიკურ პირთათვის, რომლებსაც არ გააჩნია საიდენტიფიკაციო ნომერი მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის და საშემოსაველი გადასახადების და სხვა გადასახდლების) საგადასახადო ორგანიზებში წარდგენის ნაწილში გაერთიანებულია



აღნიშნულ განგარიშებამ

2 განგარიშების ფორმის სტრიქონზე ჩაიწერება:

ა) პირველ სტრიქონზე - დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები, კერძოდ; დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი სახლური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მიმავალი სამუშაო ადგილიდან;

ბ) მე-2 სტრიქონზე - ფიზიკურ პირებზე არაფულადი ფორმით გაცემული სარგებლის ღირებულება, საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. აღნიშნული აისახება განგარიშების ფორმის III ნაწილის საინფორმაციო ცხრილის ერთ-ერთ ბოლო სტრიქონზე. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და გადახდის ვალდებულების წარმოშობა განისაზღვრება საანგარიშო თვის ბოლო დღით.

მაგალითად: საწარმო ფიზიკურ პირს სარგებლობაში გადასცა მსუბუქი ავტომობილი (ანაზღაურების გარეშე, რომლის საბაღანსო ღირებულება 3000 ლარია, 2005 წლის მარტის 12 რიცხვში და ამ პირმა ისარგებლა ავტომობილით აპრილის 20 რიცხვამდე. ამ შემთხვევაში საწარმომ მარტის თვის განგარიშების ფორმის მე-2 სტრიქონზე უნდა შეიტანოს სარგებლის ღირებულება 57 ლარი (3000X0,1%X19) და აპრილის თვის განგარიშებამ 60 ლარი (3000X0,1X20), ხოლო აღნიშნული სარგებლის ღირებულება განგარიშების ფორმის III ნაწილის საინფორმაციო ცხრილში აისახება შესაბამისად 31 მარტის და 30 აპრილის ჩანაწერებით;

გ) მე-3 სტრიქონზე - ფიზიკურ პირებზე გაცემული ანაზღაურებები, რომელიც საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლით გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგერისაგან;

დ) მე-4 სტრიქონზე - იმ ფიზიკურ პირებზე, რომელსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადახდელის მოწმობა გაწეული მომსახურებისათვის გაცემული საფასური ან სარგებელი, რომელიც ცალ-ცალკე ფიზიკური პირების მიხედვით აისახება განგარიშების ფორმის IV ნაწილის საინფორმაციო ცხრილში.

მაგალითად: გადასახადის გადახდელმა გადასახადის გადახდელის მოწმობის გარეშე მომუშავე ფიზიკურ პირს ჩაატარებინა ოფისის რემონტი, რისთვისაც მას 2005 წლის მარტში გადაუხადა 800 ლარი. ამ შემთხვევაში გადახდელმა მარტის განგარიშების ფორმის მე-11 სტრიქონზე უნდა აახსოს 800 ლარი;

ე) მე-5 სტრიქონზე - სათამაშო ბიზნესის მომწყობთა მიერ ფიზიკურ პირებზე მოგების სახით განაცემი, რომელიც აისახება განგარიშების ფორმის III ნაწილის ბოლო სტრიქონზე საანგარიშო თვის ბოლო რიცხვით.

მაგალითად: სათამაშო ბიზნესის მომწყობმა 2005 წლის მაისის თვეში მოგების სახით სხვადასხვა ფიზიკურ პირზე მოახდინა 15000 ლარის ღირებულების განაცემი. ამ შემთხვევაში მან აღნიშნული განაცემის ღირებულება უნდა შეიტანოს მაისის თვის განგარიშების მე-5 სტრიქონზე, და აისახება ასევე III ნაწილის საინფორმაციო ცხრილში 31 მაისით;

ვ) მე-6 სტრიქონზე - საგადასახადო კოდექსის 195-ე და 196-ე მუხლების შესაბამისად პირებზე გაცემული დივიდენდები და პროცენტები და გადახდილი სხვა თანხები, რომელიც საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებულ წყაროდან მიღებულ შემოსავლად;

ზ) მე-7 სტრიქონზე - არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდილი თანხა.

თ) მე-8 სტრიქონზე - მე-7 სტრიქონზე ასახული ანაზღაურებებიდან 10%-იანი განაკვეთით დასაბეგრი თანხა;

ი) მე-9 სტრიქონზე - მე-7 სტრიქონზე ასახული ანაზღაურებებიდან 4%-იანი განაკვეთით დასაბეგრი თანხა;

კ) მე-10 სტრიქონზე - მე-7 სტრიქონზე ასახული ანაზღაურებებიდან განსხვავებული განაკვეთით დასაბეგრი თანხა (ვარიანლ უჯრატში ჩაიწერება განაკვეთი);

ლ) მე-11 სტრიქონზე - დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი;

მ) მე-12 სტრიქონზე აისახება საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან;

6) მე-13 სტრიქონზე - ფიზიკურ პირებზე გაცემული დახმარება, სარგებელი და სხვა ქველმოქმედების სახით განაცემები.

მუხლი № 4 - გაანგარიშების ფორმის III ნაწილის შევსების წესი

პირველ სვეტში აისახება ანაზღაურების გაცემის თარიღი, მე-2-ში - ანაზღაურების სახე, მე-3-ში - ანაზღაურება ფულადი გამოსახულებით (თანხა), მე-4 სვეტში - შესაბამისი ანაზღაურებებიდან გამონაგარიშებული დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი. ამ ნაწილის მე-3 სვეტის ჯამი უნდა ედრებოდეს გაანგარიშების ფორმის პირველ, მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონზე ასახული თანხების ჯამს.

მუხლი № 5 - გაანგარიშების ფორმის IV ნაწილის შევსების წესი

1. გაანგარიშების ფორმის IV ნაწილში აისახება საგადასახადო ორგანოებში არარეგისტრირებული ფიზიკური პირების მონაცემები, რომლებზეც გაცემულია ანაზღაურებები გაწეული მომსახურებისათვის.

2. ცნობისათვის ცხრილში:

ა) პირველ სტრიქონზე - საანგარიშო თვეში გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ღირებულება (სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით);

ბ) მე-2 სტრიქონზე - დაქირავებულ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია ხელფასის სახით ანაზღაურებები;

გ) მე-3 სტრიქონზე - გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაანგარიშების ფორმის IV ნაწილის მიხედვით გაწეული მომსახურებისათვის გაცემულია შესაბამისი ანაზღაურება;

დ) მე-4 და მე-5 სტრიქონებზე - შესაბამისად პირზე გაცემული მაქსიმალური და მინიმალური ხელფასის ოდენობა (მაგალითად; ხელფასი საანგარიშო თვეში ერთ დაქირავებულ პირზე პირობითად გაიცა 300 ლარი, მეორე დაქირავებულ პირზე - 30 ლარი. მაქსიმალური ხელფასის სახით მე-12 სტრიქონზე აისახება 300 ლარი, მინიმალური ხელფასის სახით მე-13 სტრიქონზე - 30 ლარი).

ე) გაანგარიშების ფორმაში შეტანილი მონაცემების უტყუარობა და სისრულე დასტურდება ხელმოწერით (სახელი და გვარი იწერება სრულად), თარიღის მითითებით.

მუხლი № 6 - გაანგარიშების ფორმის V ნაწილის შევსების წესი

1. გაანგარიშების ფორმის V- ნაწილი ივსება შესაბამის საგადასახადო ორგანოს მიერ და ამ ნაწილის

სტრიქონების უჯრებში ჩაიწერება:

ა) პირველი სტრიქონის საჭირო უჯრაში - გაკეთდება აღნიშვნა "X".

ბ) მე-2 სტრიქონის უჯრებში - წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმის გვერდების და დანართების რაოდენობა.

გ) მე-3 სტრიქონის უჯრებში - გაანგარიშების ფორმაზე დართული საჭირო დოკუმენტების გვერდების რაოდენობა.

დ) მე-4 სტრიქონის უჯრებში - გაანგარიშების ფორმის წარმოდგენის თარიღი, თვე და წელი.

ე) მე-5 სტრიქონის უჯრებში - საგადასახადო ორგანოში წარდგენილი გაანგარიშების ფორმის რეგისტრაციის ნომერი.

2. გაანგარიშების ფორმის ამ ნაწილის მონაცემებს ადასტურებს საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკი ხელის მოწერით, სახელი და გვარი უნდა ჩაიწეროს სრულად.

# წიგნი თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის მაკივებელთათვის

ძივრფასო მკითხველ!

ეკონომიკური ლიტერატურით გაჯერებულ ცოდნის ბაზარს კიდევ ერთი ახალი წიგნი შეემატა. თქვენს წინაშე ეკონომიკური თეორიის შესანიშნავი მცოდნისა და მაღალი რანგის პროფესიონალი-მკვლევარის - ანიკო სისპაძის სასიამოვნოდ წასაკითხი და ადვილად აღსაქმელი, ფორმითა და შინაარსით განსხვავებული ორიგინალური სახელმძღვანელო - ეკონომიკური თეორია (მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, მებაეკონომიკა). ავტორი თავს არიდებს შესასწავლი საკითხების გადმოცემის მოსაწყენ აკადემიურ სტილს და განსხვავებული წესით აგებულ ცოდნის სისტემას გთავაზობთ.

მკითხველისადმი მიმართვაში ავტორი აუღიბებს სახელმძღვანელოს შექმნის მიხედვით პრინციპებს, რაც უდაოდ მისასალმებელია. მათ შორის ყურადღებას იმსახურებს შემოქმედებით კრიტიკულ აზროვნებასუ დაძვარებული, აქტიური და განვითარებადი ცოდნის დაუფლების აუცილებლობა, რისი მკვლელობაც წარმოადგენს სახელმძღვანელოში ნამდვილად იგრძნობა. ავტორს მიზნად დაუსახავს ეკონომიკური თეორიის პრობლემატურ საკითხებზე მკითხველს თავს არ მოახვიოს როგორც ცნობილი ავტორიტეტების, ასევე, საკუთარი შეხედულებები. მოგიწოდებთ, აქტიურად ჩაებათ დისკუსიაში, გამოავლინოთ შემოქმედებითი ურჩობა და ნამოთვალბითო საკუთარი, მაგრამ დასაბუთებული მოსაზრებები.

მართლაც, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ამჟამად მიმდინარე რევოლუციური ცვლილებების გამო შეუძლებელია სპეციალისტის ისეთი განათლება მიხცვ, რომელიც მთელი სიცოცხლე საკმარისი იქნება. ამიტომ, ბევრად უკეთესია, თუ ასწავლი, საკუთარი ცხოვრების მანძილზე დამოუკიდებლად როგორ შეისწავლოს ეკონომიკა. ეს მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი ლაიტმოტივად გასდევს მთელ წიგნს.

ავტორის მიერ ჩამოთვლილი მეცნიერული სიახლეების შესწავლა მათ შემეცნებით წონალობას გვიხვენებს და ნამდვილად იმსახურებს მკითხველის მიერ საფუძვლიან შესწავლას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორი ცდილობს პირველ რიგში ეკონომიკური თეორიის ფუნდამენტურ დებულებებს (პარადოქსებს) ჩაუღრმავდეს, კრიტიკულად გააანალიზოს ისინი და ახალი, სხვებისგან განსხვავებული დასაბუთებული და თანაც ორიგინალური მოსაზრებები ჩამოაყალიბოს. მათ შორისაა: ეკონომიკური თეორიის კვლევის საგანი, ეკონომიკური კანონები და კატეგორიები, ეკონომიკური პრინციპები, ეკონომიკური სისტემა, ეკონომიკური აღამიანი და სხვა, რაც შემდეგში განხილული კონკრეტული ეკონომიკური კატეგორიებისა და სხვა პრობლემატური საკითხების სრულიად განსხვავებულ პრიზმაში დანახვის საშუალებას იძლევა. მათ შორისაა: წარმოების ეფექტიანობის კატეგორიის და კრიტიციუმის ახლებურად გააზრება, ინვესტირებულ ხელფასისა და წმინდა მატერიალური საბრუნავი საშუალებების ცნებების შემოტანა, კაპიტალის კატეგორიისა და მეწარმის ბუნების ახლებურად წარმოსენა, წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლის სრულიყოფის მცდელობა და მრავალი სხვა.

ამ სიახლეების გარდა სახელმძღვანელოში ხშირად გვხვდება სხვა არა ნაკლებ ფასეული ავტორისეული დასკვნები, რომლებსაც დაინტერესებული მკითხველი ადვილად შეინშნავს.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, წინამდებარე ნაშრომი სცილდება დამხმარე სახელმძღვანელოს ვიწრო ჩარჩოებს. იგი წარმოვიკვებება ნამდვილ სამაგიდო წიგნად თანამედროვე ეკონომიკური ცოდნის მაკივებელი ნებისმიერი რანგის მკითხველისათვის, იქნება ეს ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორანტი თუ უკვე ჩამოყალიბებული მეცნიერ-ეკონომისტი ან მეწარმე-სწორედ ამიტომ მისი პოპულარიზაცია და მკითხველთა ფართო წრისათვის გაცნობა არა მარტო მიზანშეწონილად, არამედ საშურ საქმედაც მივაჩნია.

უშანბი სამაღაშვილი ე. მ. მ. მ. მ. დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

## 2007 წელს „ტოიოტა“ გაუსწრებს „ჯენერალ მოტორსს“ ავტომობილების წარმოებაში

ექსპერტების ვარაუდით, 2007 წელს „ტოიოტა“ გაუსწრებს „ჯენერალ მოტორსს“ წარმოებულ ავტომობილთა რაოდენობით და ამ მანქანებით მსოფლიოში პირველ ადგილზე გაეა. დღევანდელი ლიდერი არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება: ეცემა გაყიდვები, მცირდება წარმოება. იაპონური „ტოიოტა“ კი პირიქით – აყვავებას განიცდის.

„ტოიოტამ“ 2006 წელს დიდი მოგება ნახა საკუთარი ავტომობილების რეალიზაციით, განსაკუთრებით გააპართლა ახალმა ეკონომიურმა და ეკოლოგიურად შდარებით სუფთა მოდელებმა. გაყიდვების მონაცემებზე დაყრდნობით კომპანიის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2007 წელს „ტოიოტა“ 4%-ით მეტი ავტომობილების გამოშვებას შესძლებს და მათი საერთო რაოდენობა 9,42 მილიონს მიაღწევს, რაც იაპონურ გიგანტს მსოფლიოში პირველ ადგილზე გაიყვანს.


„ჯენერალ მოტორსი“ კი, რომელმაც შარშან 9,18 მილიონი ავტომობილი გამოუშვა საერთოდ არ აქეყვნებს 2007 წლის საპროგნოზო მანქანებლებს, მაგრამ დამოუკიდებელ ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ იგი შესძლებს წარმოების მოცულობის შესამჩნევად გაზრდას. მით უმეტეს, რომ „ჯენერალ მოტორსში“ გრძელდება რესტრუქტურისაციის მტკიცეული პროცესი, – კომპანია აპირებს დაითხოვოს 30000 თანამშრომელი და დახუროს რამდენიმე ქარხანა.

თი, ტოტიტამ კი პირიქით გამოაცხადა, რომ 2010 წლისთვის აპირებს მსოფლიოს მასშტაბით ექვსი ახალი ქარხნის გახსნას. ეს კომპანია პერმანენტულად იზრდება. ასე, მაგალითად, წარმოების მანქანებლებმა 2006 წელს წინა წელთან შედარებით 10%-ანი ზრდა განიცადეს.



## მსოფლიოში ყველაზე ძვირი კომპანია

ბრიტანულმა გაზეთმა „The Financial Times“-მა გამოაქვეყნა მსოფლიოში 150 უდიდესი ნაკლებადპოპულარული კომპანიების რეიტინგი. ამ რეიტინგიდან ირკვევა, რომ მსოფლიოში უდიდესი ასეთი კომპანია – ნავთობისა და გაზის კორპორაცია „Saudi Aramco“. მისი აქციებით ვაჭრობა არ წარმოებს მსოფლიოს ბირჟებზე, მაგრამ საუდის არაბეთის მთავრობის კუთვნილი ეს კომპანია ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საბაზრო კაპიტალიზაციის ტრადიციული ლიდერი „ExxonMobil“.



„The Financial Times“-ის შეფასებით „Saudi Aramco“-ს საბაზრო ღირებულება 781 მილიარდი დოლარია, ნაშინ როცა „ExxonMobil“-ის მხოლოდ 454 მილიარდი.

საინტერესოა, რომ ამ სარეიტინგო სიაში პირველი 13 ადგილი სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კომპანიებს უკავიათ. ამასთან, ამ ცამეტდან მხოლოდ ერთი კომპანია არ განეკუთვნება ნავთობისა და გაზის სექტორს – ესაა იაპონური საფოსტო კორპორაცია „Japan Post“, რომლის საბაზრო ღირებულება 156 მილიარდი დოლარით განისაზღვრება.

ამ რეიტინგისაკე მონაცემებით მსოფლიოში უდიდესი საბანკო ჯგუფია გერმანული – “Sparkassen-Finanzgruppe” მანქვენებით 98 მილიარდი დოლარი, უდიდესი ელექტროენერგეტიკული კომპანია – ჩინური სახელმწიფო ელექტროკორპორაცია – 87 მილიარდ დოლარიანი მანქვენებით, ხოლო უდიდესი სადაზღვეო ჯგუფია “Nippon Life Insurance”, ასევე, 87 მილიარდ დოლარიანი კაპიტალით.

ამ რეიტინგში ერთი რუსული ნაკლებადმოპულარული კომპანიაც მოხვდა, ესაა რუსეთის სახელმწიფო რკინიგზა, რომლის ღირებულებაც 18 მილიარდ დოლარად შეფასდა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბაზარზე აშკარად ლიდერობენ არა ნაკლებადმოპულარული კომპანიები, არამედ პირიქით, – ასე, მაგალითად, “გაზპრომის” საბაზრო ღირებულება 273 მილიარდია, ხოლო “ლუკოილის” – 76 მილიარდი.

## მსოფლიო ხმისჩამწერი ბიზანტები AllOfMP3.com - ისბან 1,65 ტრილიონ დოლარს ითხოვს

რუსულ ინტენეტ მაღაზიას “AllOfMP3.com”–ს, საიდანაც მილიონობით ადამიანი საკმაოდ იაფად იწერდა ნებისმიერ მუსიკას – მძიმე დღეები დაუდგა, მას დასავლური ხმისჩამწერი სტუდიები და ფირმები უჩივიან, სარჩელის საერთო ღირებულება კი 1,65 ტრილიონ დოლარს აღწევს! “AllOfMP3.com”–ს ბრალად ედება საავტორო უფლებების მრავალჯერადი დარღვევა და თითოეულ შემთხვევაზე მოსარჩელები ითხოვენ 150 ათას დოლარს. 2006 წლის იელისიდან-ოქტომბრამდე მათ 11 მილიონი(!) ასეთი შემთხვევა დაითვალეს. 20 დეკემბერს ამერიკის ხმისჩამწერი კომპანიათა ასოციაციამ (RIAA) ოფიციალური სარჩელი შეიტანა ნიუ-იორკის სასამართლოში, თვით RIAA გამოდის ისეთი მსხვილი და მსოფლიოში ცნობილი სტუდიების სახელით, როგორიცაა “EMI”, “Sony BMG”, “Universal Music” და “Warner Music”.

“მოპასუხე ავრცელებს მუსიკალური ნაწარმოებების მილიონობით ასლს, რომელთა საავტორო უფლება მოსარჩელს გააჩნიათ და არ იხდის არც ერთ ცენტს. მოპასუხის ქმედება ხელს უშლის მოსარჩელებს, გაყიდონ თავიანთი პროდუქცია ლეგალური გზებით, ამიტომ ისინი მოითხოვენ ზარალის ანაზღაურებას” ნათქვამია სარჩელში.

თვით საიტი – “AllOfMP3.com”, ეკუთვნის კორპორაცია “მედიასერვისის” და მშვიდად აგრძელებს მუშაობას და აცხადებს, რომ მისი შინაარსი მთლიანად შეესაბამება რუსეთის კანონმდებლობას. ამასთან, როგორც ცნობილია, ამერიკის სასამართლოს მირ მიღებულ გადაწყვეტილებას რუსეში არავითარი ძალა არ აქვს. ამიტომ, წინ კიდევ ხანგრძლივი პერიოდია სასამართლო გარჩევებისა.



ი 27/13  
გ ა მ ო ნ ი წ ა რ ა თ

სალო  
ეკონომისტი

მეწარმეების, ბუღალტრების,  
ასულიტორების, ეკონომისტების,  
საბაღასასხადო ინსპექტორების  
სამაბილო შურნალი

ხელონარის ღირებულებაა:

3 თვე – 27 ლარი		9 თვე – 81 ლარი
6 თვე – 54 ლარი		12 თვე – 108 ლარი

გამოდის თვეში სამჯერ

წლიური ხელონარის შამთხვევაში სარუქრად  
გადმობაცვამათ „საქართვლოს საბაღასასხადო  
კოლექსი“ (კოლეფიციტირებუღი ტამქტი)

ჩვენი რეკვიზიტიბია:

აღ. გრიბოეღოვის ქ. №15

ტელ: 92-23-05  
(899)56-23-02  
(899)30-13-72